პაატა ბუხრაშვილი

წმინდა გიორგი დიდების მხედარი

Paata Bukhrashvili

Saint George the great Knight

Paata Buchraschwili

Der Heilige Georg der große Ritter

ISSN 1512-0449

კავკასიოლოგიის საერთაშორისო
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის
ჟურნალ **ამირანის XXV** ნომრის დამატება

რეცენზენტები:

პროფ. ქევინ თუითი (მონრეალის უნივერსიტეტი)
პროფ. ნინო ჭიჭინაძე (ილიას უნივერსიტეტი)
პროფ. გიგი თევზაძე (ილიას უნივერსიტეტი)
დოქტორი ბესიკ ლორთქიფანიძე (ეროვნული მუზეუმი)

პაატა ბუხრაშვილი

წმინდა გიორგი დიდების მხედარი

თბილისი
2014

ვუძღვნი საყვარელი მშობლებისა და
ძვირფასი მასწავლებლების ნათელ ხსოვნას



„ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“ -ო, უთქვამს დიდებულ მწერლს, ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის. როგორც წესი, ამას მაშინ ამბობენ, როცა ზრდასრული თუ მოწიფული ადამიანი თავის ქცევაში, ქმედებასა თუ ზრახვაში, გამოავლენს რასმე ბავშვობასა და სიყმაწვილეში განცდილ-შეთვისებულს; ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ სამუდამოდ აღიბეჭდილს მის გრძნობა-გონებაში.

მეორე ან მესამე კლასში ვიქნებოდი, ბათუმში (დედულეთში, სადაც როგორც წესი, ვატარებდი არდადეგებს), ბაბუის ბიბლიოთეკაში ეგნატე გაბლიანის ცნობილი ნაშრომი – „ძველი და ახალი სვანეთი“ რომ აღმოვაჩინე. ამ წიგნით შემოვიდა ჩემს ბავშურ ცნობიერებაში საქართველოს ეს ულამაზესი და მისტიური მხარე თავისი ზღაპრულობით, განუმეორებლობითა და თავისთავადობით. ახლაც კი, შევუყვები რა ენგურის ხეობას, უპირველესად გონებაში იმ წიგნის ყდაზე აღბეჭდილი პეიზაჟში ამოტივტივდება ხოლმე.

სვანეთით დაინტერესება, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, მოგზაურ-მკვლევარების მიერ, აქ დაცული უნიკალური ისტორიული ძეგლების და ხელოვნების ნიმუშების აღწერითა და ფოტოგრაფირებით დაიწყო.

ამავე საუკუნის 70-იანი წლებიდან, ქართულ პერიოდულ პრესაში ჩნდება პირველი წერილები და ნარკვევები სვანეთის შესახებ, რომელიც ეკუთვნოდა ცნობილი მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, სვანეთის ისტორიის, ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის მკვლევარს, ბესარიონ ნიჟარაძეს. იგი გაზეთ „ივერია“-ში, „თავისუფალი სვანის“ ფსევდონიმით, რეგულარულად აქვეყნებდა წერილებს.

რაც შეეხება სვანეთის სიძველეების, მისი ისტორიისა და ეთნოგრაფიის საფუძვლიან მეცნიერულ კვლევას, სათავე, XX საუკუნის 10-იანი წლებიდან, ექვთიმე თაყაიშვილმა დაუდო, რომელმაც 1910 წელს იმოგზაურა ლეჩხუმ-სვანეთში [თაყაიშვილი ე., 1991]. მოგვიანო პერიოდში, არაერთმა ცნობილმა ქართველმა თუ უცხოელმა დიდებულმა მეცნიერ-მკვლევარმა უძღვნა სვანეთს საკუთარი შრომა.

გასული საუკუნის 70-80-იან წლებაში, სვანეთის სიძველეების აღსანუსხავად და შესასწავლად, მნიშვნელოვანი

სამუშაო შეასრულა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სვანეთის სამეცნიერო-კომპლექსურმა ექსპედიციამ.[1]

მიუხედავად იმისა, რომ სვანეთში დაცული სიძველეების შესწავლას, იმ პერიოდისთვის, თითქმის საუკუნენახევრიანი

სვანეთის კომპლექსურ ექსპედიციაში. ბ-ნ მიხეილ ჩართოლანთან ერთად. სოფ. ღობი. 1981

ისტორია გააჩნდა და სვანეთის ძეგლების მნიშვნელობასა და მათ მდგომარეობაზე ბევრი რამ ადრეც იყო ცნობილი, აქ დავანებულ-დაუნჯებული სხვადასხვა სახის მატერიალური და სულიერი კულტურის ნივთების შესახებ კონკრეტული ხელშესახები მასალა (კერძოდ სრული აღრიცხვის სიები, ჩაბარების აქტები და ა.შ.), კვლავ მოსაწესრიგებელი იყო.

[1] ექსპედიციის თავდაპირველი შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები: მიხეილ ჩართოლანი (ესპედიციის ხელ-ი), ლამარა ბედუკიძე, მზია მაკალათია, გოგი ჩიკოიძე, აკაკი გოგიჩაიშვილი, მიშა შველიძე; მოწვეული პირები: რუსუდან ყენია (ხელოვნების ინსტიტუტი, ექსპედიციის ხელ-ის მოადგილე), ვალერი სილოგავა (ხელნაწერთა ინსტიტუტი), შოთა ჩართოლანი (ისტორიის ინსტიტუტი); მხატვარ არქიტექტორები: გიორგი მეტრეველი, გურამ რაზმაძე; შემდგომში, ექსპედიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს: ვლადიმერ კიკილაშვილმა, მანანა სინაურიძემ, მანანა ხიზანიშვილმა, ნოდარ ახალკაცმა, ხათუნა ცინცაძემ, მამუკა ახალაშვილმა, ზვიად ცინდელიანმა, სოზარ სუბელიანმა, ნინუკა აბდუშელიშვილმა, რუსიკო სულაძემ, ირმა ენუქიძემ, დათო ლევანიშვილიმა (მძღოლი) და სხვა. ექსპედიციაში მონაწილეობდენ მესტიის მუზეუმის თანამშრომლებიც: აკაკი კვიციანი, დავით ნიჟარაძე, ჩათო გუჯეჯიანი, შადურ შუკვანი, გელა ხვისტანი და სხვ.

სწორედ ამ მიზნით, 1972 წელს, მაშინდელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მითითებით, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან შეიქმნა სვანეთის სამეცნიერო-კომპლექსური ექსპედიცია.

აღნიშნული ექსპედიციის მიზანს შეადგენდა – 1. მანამდე ცნობილი მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების აღრიცხვისა და დაცვის მდგომარეობის გარკვევა; 2. ამ მხარეში ანალოგიური ხასიათის ახალი წყარო-მასალების გამომზურება-შესწავლა და მათი დაცვის მოწესრიგება.

ექსპედიციამ, თავისი არსებობის განმავლობაში (1972-1996 წ.წ.) ჩაატარა დიდძალი სამუშაო არა მარტო ზემო და ქვემო სვანეთში, არამედ, დას. საქართველოს სხვა მთიან რეგონებშიც – რაჭასა და ლეჩხუმშიც. ექსპედიციის შედეგების ამსახველი სამეცნიერო პუბლიკაციები გამოიცა ორ ტომად – სვანეთი I და II (მასალები მატერიალური და სულიერი კულტურის შესწავლისათვის), ხოლო დიდი ნაწილი საექსპედიციო მასალებისა – დღიურების, ოქმების და ფოტოანაბეჭდების სახით ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში.

ჯერ კიდევ, თსუ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტს და შემდგომში ეთნოგრაფიის კეთედრის ასპირანტს, 1980-88

სკალდის მთავარანგელოზი (ლენტეხის რაიონი) 1981 წ. მიხ. ჩართოლანი, გ. რაზმაძე, ვ. სილოგავა, მ. ხიზანიშვილი

წლებში, წილად მხვდა ბედნიერება მემუშავა ამ ექსპედიციაში; უშუალოდ მიმელო მონაწილეობა მის სამეცნიერო საქმიანობაში – თავად შემეგროვებინა საველე ეთნოგრაფიული მასალა[2], აღმეწერა და შემესწავლა ის მდიდარი წყარო-მასალები, მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები, რომელიც დავანებულია საქართველოს ამ ულამაზეს მხარეში.

პირველი დავალება, რომელიც მივიღე ექსპედიის ხელმძღვანელის, ბატონი მიხეილ ჩართოლანისაგან იყო – გავმგზავრებულიყავი სოფ. ადიშში, სადაც იმხანად ტარდებოდა წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი სათემო დღესასწაული და შემეგროვებინა საველე-ეთნოგრაფიული მასალა. ბატონმა მიხეილმა, საამისოდ, გულდასმით დამარიგა და შემიდგინა კითხვარი, რომლის მიხედვითაც უნდა ჩამეტარებინა საველე მუშაობა; თანაც მასალის ჩასაწერად მისახსოვრა თავისი ხელით შეკერილი და ყდაში ჩასმული სქელი რვეული, რომელსაც დღემდე დიდი სიყვარულით ვინახავ.

სოფელი ადიში, სადაც აღნიშნული დღეობა იმართება, მდებარეობს მდ. ადიშჭალის მარჯვენა ნაპირზე, ზღვის

სოფ. ადიში

დონიდან 2100 მეტრის სიმაღლეზე და შედის ისტორიული თავისუფალი სვანეთის შემადგენლობაში. სოფელი მდი-

[2] შემდგომში, სოფ. ადიშში 1980/81/82 წლებში მოპოვებული საველე ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე მოვამზადე კიდეც სადიპლომო ნაშრომი.

დარია როგორც მატერიალური, ასევე სულიერი კულტურის[3] პირველხარისხოვანი ძეგლებით; ორიგინალური ხასიათის კედლის მხატვრობით შემკული ოთხი ეკლესია, საცხოვრებელი სახლები, კოშკები, ჭედური და ფერწერული ხატები ძირითადად განვითარებული შუა საუკუნეების ხანას განეკუთვნებიან. სოფლის მოსახლეობა 18 კომლს (1984 წ.) შეადგენს და ორი გვარის – ავალიანების და ქალდანების უბნებად არის გაყოფილი.

ქუდოსანი წმინდა გიორგის (ჯგრუ̈ბ ლიჩენიშ ლიფაყუ) ეკლესია, რომლის შემოგარენშიც ტარდება დღესასწაული, სოფლიდან 4 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ეკლესია XI საუკუნეშია აგებული და ჩვენამდე მცირედი დაზიანებებითაა მოღწეული. მოხატულია ოდნავ მოგვიანებით. შედარებით უკეთაა შემორჩენილი ინტერიერში სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებზე შესრულებული სცენები წმინდა გიორგის ცხოვრებიდან. კედლებზე მრავლადაა გრაფიტული წარწერებიც.

ლიჩანიშის წმ. გიორგის ეკლესია.

[3] მაგ. ამ სოფელში იყო დაცული, 897 წელს შატბერდის ლავრაში გადაწერილი ოთხთავი, რომელიც ამჟამად ჰადიშის სახარების სახელითაა ცნობილი.

ეკლესიისთვის, მოგვიანო პერიოდში, გარედან სამზადი (ლადბაში) და კოშკი მიუშენებიათ, რომელთაგან ახლა ნანგრევებიღაა შემორჩენილი. ამჟამად, ეკლესიის მიდამო, დაახლოებით 200 მეტრის რადიუსზე, მოზრდილი ლოდებითაა დაფარული, რაც ადრე აქ დასახლების არსებობაზე მიგვანიშნებს. ამ ვარაუდს უფრო ამყარებს ლეგენდა სოფლის მიტოვების შესახებ, რომელიც ადიშის მკვიდრმა, იმჟამად ეკლესიის მცველმა, გერმანე ქალდანმა გვიამბო: – ადრე, ჯგრაჯ ლიჩენიშიდან დაახლოებით ერთი კილომეტრის დაშორებით, ზევით, სოფელი არსებულა, რომელიც თეთნულდიდან დაწეულ მყინვარს დაუტანია. გადარჩენილა მხოლოდ სოფლის განაპირა მცხოვრები კაცი ოჯახით, რომელიც ეკლესიასთან დასახლებულა და იქ სახლი (ქორ) და კოშკი (მურყვამ) აუგია. აქ უცხოვრია ერთი პერიოდი. შემდეგ აქიდანაც აყრილა და საერთოდ, ადიშიდან დაბლა ჩასახლებულა; სადაც სოფელ წვირმისთვის მიუცია დასაბამი. მთხრობელის მიხედვით, ეკლესიასთან ამჟამად არსებული კოშკის ნანგრევი და ლოდოვანი ამ კაცის ნასახლარია.

„ლიჩენიში“ სოფელ ადიშში გამართულ საწესო დღეობათაგან უპირველესია და ამიტომ ადგილობრივი სვანები მას, ხშირად, ადიშობასაც უწოდებენ. წმინდა გიორგის სახელობაზე გამართულ ამ დღესასწაულზე ხდება, წლიდან წლამდე სოფელში დაბადებული ვაჟების დალოცვა, მათი ბედნიერებისა და ჯანმრთელობისადმი ლოცვის აღვლენა და ქუდოსანი წმინდა გიორგის მფლობელობაში მოყმეთა ხატში გაყვანა. დღესასწაულზე მოდიან აგრეთვე უძეო ოჯახებიც, რომლებიც სალოცავს ვაჟიანობას შესთხოვენ.

ლიჩენიში მოძრავი დღესასწაულია და კვირიკობის (28 ივლისი) შემდეგ ხუთშაბათს იმართება. ცალკეულ შემთხვევებში ხდება დღეობის გადავადება ერთი კვირითაც (მაგ. თუ სოფელში მიცვალებული ჰყავთ).

დღესასწაულზე ძირითადად ადიშელები (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სოფელში მხოლოდ ორი გვარი სახლობს – ავალიანები და ქალდანები) იყრიან თავს. მოდიან აგრეთვე თემიდან გათხოვილი ქალებიც თავთავიათი ოჯახებით.

დღესასწაულის მთავარი მომენტია შესაწირის მიტანა წმინდა გიორგის ხატისადმი. შესაწირს შეადგენს: 3-6 მეტრის

სიმაღლის ნაძვის ან ფიჭვის სარი (ღვატი) მასზე შესაბმელი ნაჭრით (დურშაჲ); საკლავი – ხბო, მოზვერი ან ციკანი; 60-მდე ლემზირი (სარიტუალო პური), 1 ლ. ზედაშე და თაფლის სანთელი. ამას გარდა მოლჩენიშს (მლოცველს) მოაქვს 20-30 ცალი ხაჭაპური, ერთი სამამაკაცო პური 10 ლიტრამდე რახი (საერთო ნადიმისთვის). შესაწირიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ღვატი და დურშაჲ, რომელთა წარმოჩინებითაც განსაკუთრებით ამაყობს ნლოცველი ვაჟის მამა (მოლჩენიში). მათი მოტანა აუცილებელია მკვიდრი ადიშელისთვის ყოველ ვაჟზე, ხოლო სოფლიდან გათხოვილი ქალის (ჰასვიში) ოჯახისთვის პირველსა და მეორე ვაჟზე.

ღვატი 3 - 6 მეტრის სიმაღლის სარია, რომელსაც ვაჟის მამები სწირავენ სალოცავს. დღეობამდე 3 - 4 დღით ადრე მოლჩენიში (მლოცველი) მიდის ტყეში, სადაც წინასწარ უკვე შეგულებული აქვს საჭირო სიმაღლის ნაძვის ან ფიჭვის ხე და თლის შესაწირ ღვატს.

დურშაჲ – ღვატზე შესაბმელი ქსოვილის ნაჭერია, რომელსაც სალოცავს ვაჟის მადლიერი დედები სწირავენ. საერთოდ სვანეთში, ისევე როგორც საქართველოში და ზოგადად მთელს კავკასიაში, საკმაოდ გავრცელებულია სათემო ხატებში ნაჭრების (საკადრისების, ხატის პერანგის, ლეჩაქის...) მიტანა (ტაბ. II 3). საკადრისებს უწოდებს ლიჩენიშზე შეწირულ ნაჭრებს, თავის ნაშრომში „სვანი ქალის სამოსი“ [ბეზარაშვილი ც., 1979].

ლიჩენიშთან დაკავშირებით არსებობდა რიგი აკრძალვებისა თემის ყველა სრულასაკოვანი წევრისათვის. მაგ. დღესასწაულამდე ერთი კვირით ადარე ცოლ-ქმრულ ურთიერთობებს წყვეტდნენ თემის ყოველ ოჯახში; დღესასწაულში არ მონაწილეობდნენ ახალდაქორწინებულნი სამ თვემდე და მგლოვიარე (ორმოცამდე) ოჯახები.

დღესასწაულის გაძღოლის მიზნით სოფელი 4 ნაწილადაა გაყოფილი, და ისინი მორიგეობით ასრულებენ ამ მოვალეობას. იმ პირებს, რომლებიც დღეობას უძღვებიან „მემზირებს“ უწოდებენ. მათ ევალებათ მოლჩენიშთა მოტანილი შესაწირის უშუალოდ შეწირვა ხატისადმი და ლოცვა-ვედრების აღვლენა მლოცველთა სახელით. მათ უნდა გაეწიათ აგრეთვე

დღესასწაულისწინა სამზადისიც (ტერიტორიის გაწმენდა, შეშის მომარაგება, ქვაბებისა და ჭურჭლის მომზადება ...).

მლოცველები ჯერ კიდევ მზის ამოწვერვამდე თავს იყრიან ეკლესიასთან. იქვე გალავანთან გადმომდინარე წყაროზე განიბანებიან, რის შემდეგაც, განწმენდილთ უფლება ეძლევათ სამლოცველოს ტერიტორიაზე შესვლისა. ლიჩენიშზე საკმაოდ ბევრი მლოცველი იყრის თავს სრულიად სვანეთისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან. 1980 წელს 36 ოჯახი იყო ამოსული დღეობაზე, 1981 წელს 28, ხოლო 1982 წელს ქუდოსანი წმინდა გიორგის სადიდებლად 45 ოჯახმა მოიყარა თავი.

მსხვერპლთშეწირვა მზის ამოსვლისთანავე იწყება და იქვე, ეკლესიის გვერდით სრულდება. მოლჩენიში თავის ზვარაკს მიუყვანს მემზირს, რომელსაც ამ რიტუალის შესრულება ევალება. ეს უკანასკნელი ერთ ხელში სანთლით და მეორეში ლემზირ-ზედაშით, შეავედრებს წმინდა გიორგის მოლჩენიშის ვაჟს და ოჯახს. შემდაგ, ამავე სანთლით საკლავს შუბლზე ბალანს შეატრუსავს და ამ ადგილზე ზედაშეს მიაპკურებს. ამის შემდეგ მლოცველს უფლება ეძლევა, იქვე ეკლესიის გვერდით, თავადვე შესწიროს საკლავი სალოცავს. პატრონს ზვარაკის მარჯვენა ბეჭი და გულ-ღვიძლი უბრუნდება, დანარჩენი ხორცი კი იქვე იხარშება და პურობის დროს საერთო სუფრაზე ნაწილდება. ცალკე იწვება ზვარაკის გულ-ღვიძლი, რომლიც განსაკუთრებულ კერძად ითვლება და მისი შეჭმა ყოველი მლოცველისთვის სასურველია. იკვლება აგრეთვე სოფლის მიერ ნაყიდი ხარიც. ხარს დაკვლის წინ შეიყვანენ ლადბაშში (სამზადში), სადაც „მოლოზანი“ (როგორც წესი, მოლოზნობას თემის ჭარმაგი პირები თავობენ) ზემოთ აღწერილი წესისამებრ შესწირავს მას სალოცავს. იგი თავის ლოცვაში ქუდოსან წმიდა გიორგის სოფელში ქუდის დამხურავთა (მამაკაცთა) გამრავლებას შესთხოვს.

მსხვერპლთშეწირვის შემდეგ მლოცველი შედის ეკლესიაში და იქ მყოფ მემზირს გადასცემს ზედაშეს, ლემზირებს, სანთელსა და ფულს. ეს უკანასკნელი კი შესაწირს გადასცემს მოლოზანს, რომელიც საკურთხეველთან ასრულებს მსახურებას. იგი დალოცავს მოლჩენიშის ვაჟს და ჯანმთ-

ელობას, ბედნიერებას, გამარჯვებას უსურვებს მას; წმინდა გიორგის, მლოცველის გვარში, მამაკაცთა გამრავლებას შემდეგნაირად შესთხოვს: „დიდება, დიდება მოგსვლოდეს ჯგრუ̈გ! შენ შეეწიე ამ სოფლის მომავალს, წინ წასწიე სოფელი, შენ შეეწიე და ცუდი ააცილე ჯგრუ̈გ! შენ შეეწიე (მოლჩენიშის სახელს და გვარს ასახელებს) ოჯახს; ამ ბიჭმა სიბერემდე იცოცხლოს, გაამრავლე მის სახლში ქუდის დამხურავი და ამის მავედრებელი ბევრჯერ მოიყვანე აქ“ [მაკალათია მ., 1977 : 29].

დალოცვის შემდეგ იგი რამდენიმე წვეთ ზედაშეს საკურთხეველზე დააქცევს, დანარჩენს კი იქვე მდგომ ჭურჭელში ჩაღვრის სადაც მლოცველთა მირ მოტანილი ზედაშე გროვდება. მოლჩენიშს ზედშის მხოლოდ მცირე ნაწილი უბრუნდება, რომელიც მან პურობისთვის მოტანილ დანარჩენ რახში უნდა გააზავოს.

შეწირვის რიტუალი, დაახლოებით შუა დღისთვის სრულდება, რის შემდეგაც მოლჩენიშები (ვაჟების მამები) თავიანთ მოტანილ ღვატებს შეაბამენ ნაჭრებს და აღმართული ღვატებით დგებიან ეკლესიის მახლობლად შემაღლებულ ადგილზე. ეკლესიიდან პროცესია გამოასვენებს ხატს და მოლჩენიშებისკენ გაემართება. მსვლელობის დროს სრულდება წმინდა გიორგის სადიდებელი და კვირია სამ-სამჯერ. ღვატებაღმართული მოლჩენიშების მწკრივთან პროცესიის მიახლოების შემდეგ, ახლა უკვე საბოლოოდ, სჯაროდ, შეძახილებით დალოცავენ იმ წელს დაბადებულ ვაჟებს, ახალ ყმებს წმინდა გიორგისას...

დასასრულ, უნდა აღინიშნოს მამაკაცის განსაკუთრებული როლი დღეობის მსვლელობაში. შესაწირის მიტანას, საკლავის დაკვლას, ღვატების აღმართვას, ფულის შეწირვას მხოლოდ მამაკაცები ასრულებან. ქალები მოშორებით დგანან და იქიდან შეჰყურებენ რიტუალის მსვლელობას. საგულისხმოა ისიც, რომ მლოცველნი (მოლჩენიშები) სალოცავში უქუდოდ არ მიდიან.

ყოველივე ამის შემდეგ იმართება საერთო ნადიმი, ცეკვა-თამაში და სიმღერა, სადაც მამაკაცებიც და ქალებიც თანაბრად მონაწილეობენ. ადრე მხიარულების გამართვა

ეკლესიის ეზოში დაუშვებელი იყო, ამჟამად კი ეს ტრადიცია დავიწყებულია.

ლიჩენიშის მომდევნო სამშაბათს იწყებენ თიბვას, რის აღსანიშნავადაც ხარი ახლა უკვე უშუალოდ სოფელში, მთავარ-ანგელოზის (თარინგზელი) ეკლესიის ეზოში იკვლის.

სვანთა (ისევე როგორც ზოგადად ქართველთა) ეთნოგრაფიულ ყოფაში წმინდა გიორგი და მიქაელ მთავარანგელოზი მამაკაცთა მფარველია. ვინც კი ყოფილა სვანეთში და პური მიუღია აქაური სტუმართმოყვარე მასპინძლებისგან, ყველამ იცის, რომ აქ, ყველაზე სახელდახელო და მცირეხნიან ტრაპეზაზეც კი, ოთხი ძირთადი სადღეგრძელო – სადიდებელი ითქმის აუცილებლად: დიდი ღმერთისა (ხოჩა ღერბეთ), მთავარგელოზისა (თარიგნზელ), წმინდა გიორგისა (ჯგრაბ) და მარიამ ღვთისმშობლისა (ლა მარია). მთავარანგელოზი, ზოგადად ოჯახის მფარველი და გამაძლიერებელია, წმინდა გიორგი ვაჟების, ქუდოსანთა, გამჩენელ-გამაძლიერებელ-გამამარჯვებელი; მარიამ ღვთისმშობელი კი ქალთა და ოჯახის შიდა სივრცის მფარველია.

ზვიდ გამსახურდია, თავის ნაშრომში – „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“ მსჯელობს რა წმინდა გიორგის კულტის გენეზისის თაობაზე, აღნიშნავს – „წმინდა გიორგის არქეტიპი და ინსპირატორი მიქაელ მთავარანგელოზი, ბიბლიის მიხედვით, არის არქისტრატეგოსი ღვთის ზეციური მხედრობისა, მიქაელი კლავს და ამარცხებს კოსმიურ დრაკონს, ხატებსა და ფრესკებზე იგი გამოსახულია გველზე შემდგარი, მახვილით ხელში... დრაკონის მოკვლის მოტივი ყველა ეპოქების და ხალხების მითოლოგიებისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო მზიური ღვთაებები და გმირები განასახიერებენ სიმართლის, საკეთისა და სიყვარულის მადლს; ისინი, სიცოცხლის დამამკვიდრებელნი და სიკვდილის დამთრგუნველნი არიან, კაცობრიობის მხსნელნი ბნელი ძალებისაგან. მათი ქრისტიანული სახეა წმინდა გიორგი“ [გამსახურდია ზ.,1991 : 163-165].

წმინდა გიორგის და მთავარანგელოზ მიქაელის თანაზიარობა, მათი მამაკაცური, მებრძოლი და ძლევამოსილი ხასიათი, მათი მფარველობა მამაკაცური ბუნებისადმი, ნათლად ჩანს სვანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული სხვა მასალებითაც.

მაგალითად, ლიჩენიშის მსგავსად, შეწირულობანი ახალდაბადებული ვაჟების სახელზე მიაქვთ თანღილის თარინგზელის ეკლესიაშიც. ეს სალოცავი, რომელიც სოფ. ლახუშთის (ლატალის თემი) მახლობლად მთაზეა აგებული, ვაჟების დამბადებელად და მფარველად ითვლება. აქ მოსალოცად მოდიან და შესაწირი მოაქვთ უძეო ოჯახებს ზემო სვანეთის სხვადასხვა სოფლებიდანაც.

ვაჟების გაჩენისთვის მადლს სწირავენ ქვემო სვანეთის სალოცავებსაც. მაგ. სკალდის მთავარანგელოზის ეკლესიაში (ლენტეხის რ-ნი), მრავლადაა მადლიერ მშობელთა შეწირული ნივთები; ერთ-ერთ შეწირულ ყანწზე არის წარწერა: „4 გოგოა ბესო ოთარის ძე ლიპარტელიანი სოფ. რცხმელური ახლა ბიჭი შემეძინა“.[4] ამავე ეკლესიაში მრავლადაა შეწირული ფერად-ფერადი ნაჭრებიც.

წმინდა გიორგის, როგორც მებრძოლ, გამმარჯვებელ და მამაკაცთა მფარველ ღვთაებას ეთაყვანებიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეებშიც [Tuite K., Buxrasvili P., 1999 : 59-72]. მაგ. ს. მაკალათია თავის წიგნში „მთიულეთი“, გადმოგვცემს: – „სოფ. ქავთარაანიდან (ფასანაურს ზემოთ-პ.ბ.) 4-5 კილომეტრის მანძილზე, სოფლების - ჟიჟიანსა და წიფორს შორის მოთავსებულია წიფორის წმინდა გიორგის ხატი, რომლის სახელობაზე აგებული ეკლესია და ნიში ხატის ტყით დაფარულ ერთ გორაკზეა მოთავსებული. ნიში სავსეა ხატის უღლებით, ზანზალაკებით და სხვა შარნებით.

ეკლესიის გარშემო ჩამწკრივებულია გრძელი ჭლოკები, რომლებზეც ფრიალებენ თეთრ-წითელი ქსოვილის ნაჭრები. ხატს ამ დროშებს უცოლო ვაჟები სწირავენ. ამ მიზნით ისინი ტყეში სჭრიან წიფლის ან ნაძვის მაღალ და სწორ ჯოხებს, რაც შეიძლება გრძელს, რომლებსაც წვერზე ფერად ნაჭრებს შეაბამენ. აღდგომა დილას, ვაჟები ამ დროშებით წიფორის წმინდა გიორგის ეკლესიას სამჯერ შემოუვლიან და შემდეგ ამ ჯოხებს გალავანში ჩაასობენ. დროშას ხელს არავინ არ ახლებს სანამ თავად არ წაიქცევა და არ დაიშლება. ხალხის რწმენით ამ დროშის შემწირველს ხატი ცოლ-შვილის ღირსად

[4] პირადი საექსპედიციო არქივიდან.

გახდის. წიფორის წმინდა გიორგის განსაკუთრებით ვაჟიანობას შესთხოვენ. ამ მიზნით მას ვერცხლის თასებსა და დროშას (ბავრიყს) სწირავენ. თუ ამან არ გასჭრა, მაშინ უძეონი ხუთწლიან კურატს მიჰგვრიან, დეკანოზს დაამწყალობებინებენ და იქვე დაჰკლავენ. ამის შემდაგ თუ ვაჟი შეეძინებათ, მას წიფორის წმინდა გიორგის ყმად ზრდიან, თეთრებს აცმევენ და რამდენიმე წელიწადი ხატობაზე ატარებენ. სამსახურის გასვლის შემდეგ ვაჟს ამ თეთრებს გახდიან და იქვე ხატში დასტოვებენ“ [მაკალათია ს., 1930 : 23]. ეს დღეობა ჩვენს მიერაც იქნა დამოწმებული. მართალია ეს რიტუალი ამგვარი სახით ყოფაში უკვე აღარ სრულდება, მაგრამ მიუხედავად ამისა იმ გვარის წარმომადგენლები, რომლებიც წიფორის წმინდა გიორგის საყმოდ ითვლებიან (ქავთარაძეები, ბიბილაშვილები, ჟიჟიაშვილები) ახლაც სწირავენ ხატს სამადლობელო ზვარაკს ვაჟის შეძენის შემთხვევაში.

ახალდაბადებული ვაჟის სახელობაზე საკლავი მიჰყავთ ლომისის წმინდა გიორგის სალოცავში და ალევის ოქროსკარიანი სამების (ქსნის ხეობა) ეკლესიაშიც.

ვაჟების მფარველად ითვლებოდა მთელი რიგი სალოცავებისა რაჭაშიც. სოფელ ზემო სხვავაში (ამბროლაურის რ-ნი) არსებულ მთავარანგელოზის ეკლესიაში, რომლის ნანგრევებიც ხატის ტყით დაფარულ გორაკზეა შემორჩენილი, დედებს მოაქვთ შესაწირი (სანთელი, ფული) და თავიანთი ვაჟების ჯანმრთელობისა და ბედნიერებისთვის ლოცულობენ.

მთხრობელთან ამბროსი მინდელთან.
რაჭა. სოფ. სორი. 1986 წ.

სოფელ სორში აღდგომიდან მეოთხე ხუთშაბათს წმინდა გიორგის ეკლესიაში გამართული ნაციხურობაც ვაჟიანობისადმი იყო მიძღვნილი, რომელსაც მრავალძლისა და ნიკორწმინდის სალოცავებიც „უბამდენ მხარს, რადგან მათ ანგელოზებს ერთმანეთთან მიმოსვლა და ურთიერთობა ჰქონდათ“.

ლიჩენიშის თითქმის ანალოგიური დღესასწაულია დადასტურებლი ფშავ-ხევსურეთშიც, რომელიც ხატში გაყვანა-მიბარების სახელითაა ცნობილი. ხევსურეთში, როცა ვაჟი დაიბადებოდა, მშობლები მას „მიაბარებდნენ“ რომელიმე ხატს, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მას სამგზის მიაგორებდნენ ხატისკარს ან დროშასთან [ბარდაველიძე ვ., 1952: 29]. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ჩვეულება გაანალიზებულია, როგორც ღვთაების მიერ თავის საყმოს შვილად აყვანის მისტერია, რის შემდეგაც ბავშვი ხატის მფარველობაში ექცევა (იქვე).

ხახმატის წმინდა გიორგის ხატი ხევსურეთშიც ხომ ვაჟების დამბადებლად ითვლებოდა [Tuite K., Buxrasvili P. 1999: 59-72]. როგორც გადმოგვცემს გიორგი თევდორაძე – „ხახმატის ჯვრის“ დანიშნულება იყო უშვილოთათვის შვილის გაჩენა; მეტადრე მას ევედრებოდა ის ვისაც შვილი არ ჰყავდა. ამ დანიშნულებისათვის ხახმატის ხატში განსაკუთრებული ნიში დგას – მწევრის საფლავი. აქ ორსულ დედაკაცს[5] ან უშვილოს ფეხს დაადგმევინებდნენ, რომ შვილი შესძენოდა, მეტადრე ვაჟი. აქ სალოცავად მოდიოდნენ არა მარტო ხევსურები, არამედ ფშავლებიც, თუშებიც და ქისტებიც“ [თევდორაძე გ., 1930 : 30].

მაშასადამე, ყოველივე ზემოთაღნიშნულის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სოფ. ადიშში გამართული წმინდა გიორგი სახელობაზე გამართული დღესასწაული „ლიჩენიში“, წარმოადგენს სასოფლო-სათემო სივრცეში ახლადმოვლენილ ყრმათა ხატში გაყვანა-ზიარების რიტუალს. მთლიანობაში კი, როგორც ამას საქართველოსა და კავკასიის ცალკეული კუთხეების სულიერი თუ მატერიალური კულტუ-

[5] საგულისხმოა რომ ეს სალოცავი იშვიათი გამონაკლისია, სადაც ქალს შეუძლია მისვლა და საკლავის მიყვანა – პ.ბ.

რის ძეგლების ანალიზი მოწმობს, სვანური მონაცემები იმ საერთოკავკასიური რწმენათა ჯაჭვის ნაწილია, რომელიც ამჟამდ გადმონაშთის სახითღა თუ იპოვება [მაკალათია მ., 1977 : 40].

წმინდა გიორგი, რომ სვანებისთვის, ისევე როგორც ზოგადად ქართველთათვის, განსაკუთრებული წმინდანი იყო, ამას ჯერ კიდევ დიდი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა თავის „ქართველი ერის ისტორიაში“ – „სვანების ხალხურ თქმულებაშიაც წმიდა გიორგი იმნაირადვეა დასურათებული, როგორც ქართულ თქმულებაში; მისი მფარველობის წინააღმდეგ თვით ღმერთსაც ვერა გაუწყვია რა. წმიდა გიორგი (ჯგრაბგ), რომელიც მიქელ მთავარანგელოზისავით (მქემთარინზელ) ღმერთს გვერდით უზის, მუდმივ ადამიანზე ზრუნავს და სულ იმის ცდაშია, კაცს როგორმე სიკეთე უყოს.

ერთხელ ღმერთმა ერთს კაცს, რომელმაც საკმელი უკმია და სადილად ბატკანი უძღვნა, საჩუქრად ძროხა უწყალობა. როცა გიორგიმ და მიქელ მთავარანგელოზმა ღვთის საჩუქარი მიუტანეს, გიორგიმ ამ კაცს ჩააგონა, ცოლი სთხოვე ღმერთსაო. ისიც ისე მოიქცა, როგორც გიორგიმ დაარიგა: მაშინ ღმერთმა გიორგის უთხრა: „სულ შენა ზრუნავ, გიორგი, იმ კაცზე, თორემ თითონ იმას ეგ სად მოაგონდებოდაო“? მეტი რაღა გაეწყობოდა, ღმერთს უარი არ უთქვამს; გიორგი და მიქელ მთავარანგელოზი გაემგზავრნენ, ცოლი უშოვეს და რაც კი საჭირო იყო მისთვის ყველაფერი უწყალობეს.

მერე როცა წმიდა გიორგიმ იმ კაცის თხოვნა შეატყობინა ღმერთს, რამდენი შვილი მეყოლებაო, ღმერთმა უპასუხა: „გიორგი ეგ სულ შენი საქმეა, თორემ იმ კაცს სად მოაგონდებოდაო: ეხლა რომ იმას შვილი მივცეთ, ქვეყანაზე ადამიანები გამრავლდებიან და ვიწროობა იქნებაო!“ მაინც ღმერთმა გიორგის დაუთმო:

„ორი შვილი მივცეთ, მაგრამ სიცოცხლის ნახევარგზას რომ მოიჭამენ, მერე დაიხოცნენო“, სთქვა მან. გიორგიმ უპასუხა: „ეჰ, თუ მიცემაა, საბოლოოდ მივცეთ, თორემ ტყუილად რისთვის ვაწვალოთო“? ღმერთმა აქაც დაუთმო.

შემდეგაც, როცა ერთხელ ღმერთმა ბრძანა: „ისეთ სეტყვას დავუშვებთ დედამიწასა, რომ ჩვენი დასახლებული

კაცის ყანა მიწასთან გავასწოროთ“-ო, გიორგი მაშინვე დაეშო დედამიწაზე და კაცს უთხრა: „დღესვე მამითადი შეჰყარე, რაცა გაქვს სულ მომკე, თორემ ისეთი სეტყვა მოვა, რომ ერთი დღისაც არ შეგრჩებაო“. კაცმა მომკა ყანა და პური დააბინავა. ღმერთმა ნახა მერე, რომ იმ კაცს პური შინა ჰქონდა, სხვას კი ერთი დღის საგზალიც აღარ შერჩა.

მაშინ ღმერთმა გიორგის უთხრა: „ეგ ხომ სულ შენი საქმეა, თორემ იმას სად მოაგონდებოდაო“. მერე გულში თქვა ღმერთმა: „მაშ თუ ეგრეა, იმ დასახლებულ კაცს გადავწვავთო“! დაეშვა გიორგი ისევ დედამიწაზე, დაარიგა კაცი და უბედურება თავიდან ააცდინა. ბოლოს ღმერთმა სთქვა: „ეს სულ გიორგის საქმეა, თორემ ის ხომ ამას ვერ მოიგონებდაო. მეტად მოწადინებულია, რომ ეს კაცი დაამკვიდროს და რადგან ასეა დავუთმოთო!...“

ამ სვანურ თქმულებაშიაც ღმერთს, რომელიც იწოდება ღერმეთ, ანუ ღერბეთ, ადამიანისათვის ყველაფერი ჰშურს: ადამიანს რომ გიორგი არ ეშველებოდეს, არც ერთ სიკეთეს არ უზამს, იგი იმდენად გულქვაა, რომ მშობლებს შვილებს აძლევს და ჭაბუკად რომ მოღერდებიან სწორედ მაშინ უნდა როგორმე დაუხოცოს; მისთვის ადამიანის ჭირნახულის განადგურება, სახლის გადაწვა, სულის ამორთმევა ჩვეულებრივ საქმეს შეადგენს. მაგრამ გიორგის წინააღმდეგ ვერას გააწყობს ხოლმე. გიორგი რასაც უნდა იმას აასრულებს და ღმერთი იძულებულია დაუთმოს; თუ გიორგი წინააღმდეგობას გაუწევს, ღმერთი ვერც ერთ თავის სასჯელს ვერ განახორციელებს ხოლმე. გიორგის მზრუნველობას და ადამიანის მფარველობას საზღვარი არა აქვს: განიზრახავს თუ არა ღმერთი ადამიანის საწინააღმდეგოს, გიორგი მაშინვე დაეშვება დედამიწაზე და ასწავლის კაცს, განსაცდელი თავიდან როგორ აიცდინოს. ერთი სიტყვით, წმიდა გიორგი ყოვლად კეთილი და ძლიერი ღვთაებაა, უმთავრესი ადგილი უკავია და თვით ღმერთსაც კი აღემატება“ [ჯავახიშვილი ივ., 1979 : 87-88].

*

* *

ვსაუბრობთ რა ქრისტიანულ სამყაროში წმინდა გიორგის და ზოგადად წმინდა მხედრების კულტის ჩამოყალიბება – განვითარების თაობაზე, უსათუოდ უნდა ვახსენოთ ერთი მეტად საინტერესო არქეოლოგიულიური ნივთი, რომელიც ფარასშია (სუდანი) აღმოჩენილი. ეს გახლავთ ძველეგვიპტური ხანის რაინდი ღვთაება ჰორის გამოსახულება, რომელიც კლავს ნიანგს. იგი დაცულია ლუვრში (პარიზი) და მკვლევართა მიერ დათარიღებულია ქრისტეს შემდგომ 270-350 წლებით [Bénazeth D., 1997]. როგორც სპეციალისტები მიიჩნევენ, ამ გვიანეგვიპტური კულტურის არტეფაქტში გაჟღერებულმა თემამ, თავის დროზე, წმინდა გიორგის და ზოგადად წმინდა მხედრების სახისმეტყველებითი მოდელის ჩამოყალიბებაზე, გარკვეული გავლენა მოეხდინა[Bénazeth D., 1997].

ჰორის გამოსახულება ფარასიდან (სუდანი)

აღნიშნული ნივთი გახლავთ ფრაგმენტი ნაგებობის სარკმლის მოჩარჩოებისა, რომლის დეკორშიც შინაარსობრივად ასახულია ეგვიპტური და ბერძნულ-რომაული კულტურული ტრადიციები. მასზე გამოსახულია მხედარი, რომელიც სხვა არავინაა თუ არა ღმერთი ჰორი, რომელიც შუბით განგმირავს ნიანგს. მიჩნეულია, რომ ამ შემთხვევაში ნიანგი, სახეა ღმერთი სეტისა [Bénazeth D., 1997].

ეგვიპტურ მითოლოგიაში, შევარდნისსახოვანი ღვთაება ჰორი, ოსირისისა და ისიდას შვილი, დასაბამიდან ცისა და მზის ღმერთია, რომელმაც მამის სისხლი აიღო. მან მძიმე ბრძოლების შემდეგ მოკლა ოსირისის მკვლელი, მისივე ბიძა სეთი (ბოროტებისა და განადგურების ღვთაება) [გელოვანი აკ., 1983].

რაც შეეხება სეთის, იგი ქარიშხლისა და უდაბნოს ხორშაკის ღმერთია. თავიდან იგი ფარაონთა ძალაუფლებას განასახიერებდა, თავის ორეულთან, ძმისწულ ჰორთან ერთად. მას გამოხატავდნენ ადამიანის ტანით, რომელსაც უდაბნოს უცხო ცხოველის, ძაღლის ან ტურის მსგავსი თავი ჰქონდა, მოხრილი დიდი ნისკარტი და წვეტიანი მაღალი ყურები, სამწვერა კუდი, ან კიდევ ვირის, ღორის, შევარდნის, ჟირაფის, ოკაპის, გრიფის სახე [გელოვანი აკ., 1983].

როგორც ცნობილია, ეგვიპტური ღვთაებებს არასდროს გამოსახავდნენ ამხედრებულთ. ეს სიუჟეტი კი, რომელიც მესამეს საუკუნის დასასრულითა და მეოთხე საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება, თვალნათლივ გადმოგვცემს ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების ბერძნულ-რომაული და ქრისტიანული სახისმეტყველებითი მოდელების გავლენას იმ პერიოდის ანალოგიური შინაარსის ეგვიპტურ სახისმეტყველებით მოდელებზე.

ამ სიუჟეტში შევარდნისსახოვანი ღმერთი ჰორი, რომაელი მეომრისებურად არის ჩაცმული. იგი მთელი პროფილითაა წარმოდგენილი, ასევე პროფილში გამოსახულ ანფასსახიან ცხენთან ერთად. ცხენის ფეხებთან გაბლანდულია ნიანგი, რომელსაც შუბით დალახვრას უპირებს მხედარი [Bénazeth D., 1997].

ბოროტების დამლახვრავი მხედრის სახე, როგორც ცნობილია, ფართოდაა გავრცელებული მთელს ქრისტიანულ

სამყაროში: წმინდა გიორგის ამგვარი სახით წარმოსახვა ქრისტიანულ იკონოგრაფიაში პირდაპირ უკავშირდება აღნიშნულ სიუჟეტს. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი ნიუანსიც – ეგვიპტურ გადმოცემების მიხედვით, ჰორი დაეწია რა სეთის, ამ უკანასკნელმა სახე იცვალა – ნიანგად იქცა; თუმცა ამ სახიობამ მას ვერ უშველა და ჰორმა მაინც მოკლა იგი [Bénazeth D., 1997].

შესაძლოა, მოგვიანო ხანებში, ამხედრებული წმინდა გიორგის ფერხთით გართხმული გველეშაპის, სატანის თუ დიოკლეტიანეს (ქართულ იკონოგრაფიაში ფართოდ გავრცელებული მოტივით) წარმოდგენილ მრავალსახეობას, ეგვიპტურ მითოლოგიაში ბოროტების და სიბნელის ღმერთის – სეთის ეს თვისებაც, კერძოდ კი, სახიობა-გარდასახვის უნარიც, ანუ მრავალსახოვნება, ედოს საფუძვლად [Teischmann F., 1986].

ვსაუბრობთ რა მეომარი, მხედარი ღვთაებების და შესაბამისად მოგვიანო პერიოდში წმინდა მხედრების კულტის წარმოშობა – განვითარებაზე, აუცილებლად გასათვალისწინებელია ის წინარექრისტიანული ხანის არქეოლოგიური მასალებიც, რომლებიც საქართველოსა და ზოგადად კავკასიაში მრავლადაა აღმოჩენილი (ახალგორი, ვანი, ყანჩაეთი, წინწყარო...). ადრეული ანტიკური ხანიდან აქ, თანდათან, უფრო მეტად იჩენს თავს ორიგინალური იკონოგრაფიული შტრიხები, რომელიც უცხოა ბერძნულისათვის და აიხსნება ადგილობრივი, ქართული გარემოთი. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ცხენოსნის გამოხატულებიანი გემმები, რომლებიც მკვეთრად გამოირჩევიან სტილისტიკური თვისებებით. ამ ჯგუფს განეკუთვნება წინწყაროს და ყანჩაეთის საბეჭდავები, რომლებზეც გამოხატული შუბმოღერებული მხედარი გააზრებულია, როგორც წმინდა გიორგის – ძველი ქართული მთავრის ღვთაების – წინასახე: „უკვე ადრეანტიკური ხანის საქართველოში ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეში უნდა ჩამოყალიბებულიყო უმაღლესი ღვთაების – მთავრის ღვთაების გარკვეული იკონოგრაფია – მებრძოლი მხედარი. მისი ერთ-ერთი (ალბათ ოფიციალური) სახელი ანტიკურ ხანაში არმაზი უნდა ყოფილიყო. ამ ღვთაების

გამოსახულება გასდევს ლაიტმოტივად ქართულ მცირე ხელოვნების ნიმუშებს მთელი ანტიკური ხანის მანძილზე და ქრისტიანულ ხანაში გადადის, სადაც შემდგომში წმინდა გიორგის სახელს ატარებს [ბარნაველი ს., 1979 : 56]“.

მტერზე გამარჯვებული მხედრის თემა ასევე ფართოდ არის გავრცელებული ზოგადად აღმოსავლურ კულტურაშიც. მაგ. სასანიანთა ხანის ბარელიეფებზე მეფე-ღმერთი ხშირად გამოსახულია ამხედრებული, რომლის ცხენის ფლოქვებთან დამარცხებული მტერია გართხმული [Sarre Fr., 1920 : 157].

თამამად შეიძლება ითქვას, რომ კეთილსა და ბოროტებას შორის დაპირისპირების ტრადიციულად უნივერსალური სიუჟეტი, რომელიც მსოფლიოს სხვადახვა ხალხების რწმენა-წარმოდგენებსა და სამყაროსეულ მსოფლაღქმაში, სხვადასხვა ქრონოლოგიურ მონაკვეთში, ფართოდ და მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი, ამ ხალხების რელიგიურ თუ ყოველდღიურ სახისმეტყველებაში, ადგილობრივად ჩამოყალიბებულ თუ სხვათაგან ნასესხებ ფორმებში გამოისახებოდა.

ამის ნათელი დაასტურებაა ადრეულ შუასაუკუნეებში, მთელს ქრისტიანულ სამყაროში და შესაბამისად საქართველოში, ჩამოყალიბებულ-განვითარებული წმინდა მხედართა კულტიც.

წმინდა გიორგის იკონოგრაფიული ტიპის მრავალფეროვნების, სიძველისა და ხალხურ გადმოცემათა სიმრავლის საფუძველზე მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ქართულ სამყაროს მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა ამ წმინდანის კულტის ჩამოყალიბებასა და გავრცელებაში.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ წმინდა გიორგის კულტს არცერთ ქვეყანაში არ მიუღია ისეთი მასშტაბები, როგორც საქართველოში. ამის შესახებ, ჯერ კიდევ, ვახუშტი ბატონიშვილი წერდა – ივერიაში „არა არიან ბორცუნი ანუ მაღალნი გორანი, რომელსა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წმინდისა გიორგისანი“-ო [ვახუშტი 1973 : 40].

პირველმოწამე, ძლევამოსილი კაბადოკიელი ქრისტიანი წმინდანის, გიორგის შესახებ პირველ ცნობები შემორჩენილია V საუკუნიდან (ე.წ. „ვენის პალიმფესტში“) ლათინურ, ბერ-

ძნულ, სირიულ, არაბულ, კოპტურ, ეთიოპურ აპოკრიფულ ტექსტებში [Спирова П., 2009]. მოგვიანო ხანებში ეს წმინდანი მეტად პოპულარული ხდება მთელს ქრისტიანულ სამყაროში, რომელიც იკონოგრაფიულად წარმოდგენილია როგორც გველეშაპის სახით გამოსახული ბოროტი ძალების დამლახვრავი მხედარი. თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში, ის ბოროტი ძალა, რომელსაც ამარცხებს წმინდანი, იკონოგრაფიაში ანთროპომორფულ სახითაც გამოისახება.

საქართველოში, წმინდა გიორგის კულტი VII საუკუნის დასაწყისიდან გავრცელდა, რადგან ამ პერიოდიდან გაჩნდა მისი უძველესი გამოსახულებები ქართულ ძეგლებზე. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მარტვილის ტაძრის ფრიზები, როლებზეც ფიგურები და მცენარეული ორნამენტი ერთიან კომპოზიციაშია ჩართული და გარკვეულ რიტმულ დანაწევრებას ექვემდებარება. ფრიზებზე გამოსახულია ბიბლიური და სახარებისეული სიუჟეტები (მაგ., დანიელი ლომთა ხაროში, სამსონი და ლომი, ქრისტეს ამაღლება 4 ანგელოზის მიერ და სხვა). აქვეა გამოსახული გველეშაპთა განმგმირავი წმინდა მხედრები – (სავარაუდოდ სტრატილატი თევდორე და დემეტრე) და მათ შორის წმინდა გიორგი, რომელიც ლახვრავს დამარცხებულ მტერს [Аладашвили Н., 1977 : 48]. ისინი, ზოგადად, სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვებას განასახიერებს.[6]

[6] მართალია, არის ცნობილი ერთი სიუჟეტიც ანალოგიური ხასიათისა – სადაც ამხედრებული წმინდა გიორგი განგმირავს ანთროპომორფული სახით გამოსახულ ბოროტებს, ხელფეხდაბორკილ სატანას, მგრამ იგი ქრონოლოგიურად მოსდევს მარტვილის ფრიზის გამოსახულებებს და X საუკუნით თარიღდება. ეს გახლავთ წმინდა გიორგის გამოსახულება ახტამარის ჯვრის მონასტრიდან.

ახტამარის წმინდა ჯვრის მონასტერი სომხური არქიტექტურის ერთ-ერთი უნიკალური ძეგლია, რომელიც აგებულია ხუროთმოძღვარ მანუელის მიერ 915-921 წლებში. ახტამარი ჯვარ-გუმბათოვანი ტეტრაკონქია და გამორჩეულია თავისი ბარელიეფებით. არქიტექტორმა მანუელმა, რომელიც სკულპტორიც იყო, მდიდრულად მორთო ეკლესიის გარეთა კედლები წმინდანთა თუ რელიგიურ მოღვაწეთა გამოსახულებებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია საერო ცხოვრების სცენები, რომლებიც ერთიანი ორნამენტის სახით მიუყვება ეკლესიის ოთხი-ვე ფასადს და ასახავს სამეურნო სცენებს – რთველს, ნადირობას, პურობას; ვენახოვან ორნამენტში ჩაწნულია ადამიანთა და ცხოველთა მრავალრიცხოვანი ფიგურები. აქვე, აღმოსავლეთ ფასადზე ჩადგმულია კტიტორის, ვასპურაკანის მეფის გაგიკ არწრუნის სკულპტურა. სწორედ აქ, ტაძრის ჩრდილო-დასავლეთ კედელზე, ვხვდებით წმინდა მხედრების – თევდორეს, გიორგის და სარგისის გამოსახულებებს. მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა წმ. გიორგის გამოსახულება, რომელიც შუბით განგმირავს ხელ-ფეხ შებორკილ სატანას.

აღნიშნულ ფრიზზე, წმინდა გიორგის პერსონიფიცირების საშუალებას, სწორედ ეს სიუჟეტი – „დამარცხებული მტერი“ იძლევა, (სურ. 16 - მარტვილი, გიორგი) რადგანაც მოგვიანო ხანის ქართულ იკონოგრაფიაში (ფრესკებსა თუ ჭედურ და ფერწერულ ხატებზე) ეს მტერი უკვე, უტყუარად იმპერატორ დიოკლეტიანეს გამოსახავს, რომლის ბრძანებითაც აწამეს წმინდა გიორგი..

X-XI ს.ს-ებში, ქართულ იკონოგრაფიაში ფართოდ მკვიდრდება და ვრცელდება სწორედ ეს მოტივი – წმინდა გიორგი შუბით განგმირავს რომის იმპერატორ დიოკლეტიანეს. ამ პერიოდის ხატებზე, სახელისულფებო საიმპერატორო გვირგვინით დამშვენებული და სამეფო შესამოსელიში გამოწყობილი დიოკლეტიანე, წმინდა მხედრის ფერხთით არის გართხმული და შუბით განიგმირება. მიჩნეულია, რომ ხსენებული მოტივი, მთელს ქრისტიანულ სამყაროში, მხოლოდ ქართული იკონოგრაფიისთვის დამახასიათებელი სიუჟეტია, რომელიც, განსაკუთრებული ინტესივობით, ერთ განსზღვრულ ქრონოლოგიურ მონაკვეთში, კერძოდ კი X -XI საუკუნეებში იკიდებს ფეხს.

მოგვიანო ხანებში, ეს სიუჟეტი – იმპერატორ დიოკლეტიანეს მოკვლა წმინდანის მიერ, თანდათან, ადგილს უთმობს ქრისტიანულ იკონოგრაფიაში წმინდა გიორგის გამოსახვის საყოველთაოდ მიღებულ ფორმას, როდესაც ბოროტებაზე გამარჯვებული წმინდა მხედარი გველეშაპს განგმირავს [Чубинашвили Г.,1959 : 370].

ამ სიუჟეტის თაობაზე, ითვალისწინებს რა დამარცხებული იმპერატორის გამოსახვის ზედმიწევნით ფორმას ამ პერიოდის ბიზანტიის იმპერატორის გამოსახვის ფორმასთან, აკად. გიორგი ჩუბინაშვილი გამოთქვამს ფრთხილ ვარაუდს, რომ ქართულ იკონოგრაფიაში გავრცელებული ეს თემა, ანუ წმინდა გიორგის მიერ გვირგვინოსანი ბიზანტიის იმპერატორის მოკვლა, გამოძახილი უნდა იყოს კონკრეტული პოლიტიკური ვითარებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მე-10-11 სს-ში [Чубинашвили Г.,1959 : 370].

*
* *

X საუკუნის 70-იან წლებში (976 წ-ს), რაჟამს დავით III კურაპალატმა „აღიღო (იოანე მარუშისძისგან - პ.ბ.) უფლისციხე და მიუბოძა ბაგრატს [მატიანე ქართლისა : 263]“, წარმატებით დაგვირგვინდა საქართველოს გაერთიანებისთვის წარმოებული ხანგრძლივი ბრძოლის ერთი ძირითადი ეტაპი; რის შედეგადაც დასავლეთ საქართველო, სამხრეთ საქართველო და შიდა ქართლი გაერთიანდა ერთიან სამეფოდ; ხოლო ამ ქვეყნის მეფედ ბაგრატ III გამოცხადდა. ეს ბაგრატი პირველია, რომელიც უკვე იწოდება „აფხაზთა და ქართველთა“ ე.ი. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ[მატიანე ქართლისა : 278].

ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ X საუკუნის ბოლო მესამედში განსაკუთრებით დაიძაბა ურთიერთობა ბიზანტიის იმპერიასთან. ბიზანტია ყველა საშუალებით ცდილობდა შეეჩერებინა საქართველოს გაერთიანებისა და ზრდა-გაძლიერების პროცესი, დაესუსტებინა ის და ხელში ჩაეგდო მისი მოსაზღვრე მიწები.

ბიზანტიას აღარ აკმაყოფილებდა ივერიისგან (ბიზანტიური წყაროებით) მისი სიუზერენობის ფორმალური აღიარება და ცდილობდა რეალურად განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა (იხ. Пселл М., დილი შ., 1998 Дашков С., 1997).

976 წლიდან, იოანე ციმისხიოსის გარდაცვალების შემდეგ, ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე ადიან რომანოზ II შვილები – ბასილი (შემდგომში ბასილი II ბულგართმმუსვრელი, Βασίλειος Β᾽ Βουλγαροκτόνος - 985 -1025) და კონსტანტინე (შემდგომში კონსტანტინე VIII, Κωνσταντίνος Η΄ – 1025 – 1028).

985 წელს, პარაკიმომენ ბასილის (Βασίλειος Λακαπήνος/ Λεκαπηνός – პირველი მინისტრი და იმპერიის ფაქტიური მმართველი 945-985 წ.წ.-ში) გარდაცვალების შემდეგ, საიმპერატორო ტახტზე ასულ ძმათაგან უფროსი, ბასილი II, რომელსაც თანამედროვენი ხშირად ბასილი უმცროსს და ბასილი პორფიროგენიტოსს უწოდებდნენ (რათა განესხვავებინათ მისი წინაპრის ბასილ მაკედონიელისგან), ბიზანტიის საიმპერატორი ტახტის ერთპიროვნული მმართველი ხდება.

ბასილი II (იხ. ფერადი ტაბულა II,5) მმართველობის პირველსავე ეტაპზე მოახერხა მცირე აზიაში მიმდინარე სამოქალაქო ომების ჩახშობა. მუდმივი ომების მიუხედავად, მან თავი გამოიჩინა, როგორც ძლიერმა მმართველმა და გააფართოვა იმპერიის საზღვრები. მან მთლიანად დაიმორჩილა და იმპერიას მიუერთა ბულგარეთი. მისი ბრძანებით ბიზანტიელებმა 15 ათასი ბულგარელი ტყვე დააბრმავეს. ამ სისასტიკის გამო იმპერატორს „ბულგართმმუსვრელი“ უწოდეს.

ბასილი II-ის მმართველობის პერიოდში მეტად აგრესიული გახდა ბიზანტიის იმპერიის ქმედება აღმოსავლითის მიმართულებითაც, მათ შორის გაერთიანების გზაზე შემდგარი ქართველთა და აფხაზთა სამეფოს მიმართ. ყველაზე მნიშვნელოვანი ტერიტორია, რომელიც ქართველთა სამეფოს ბიზანტიამ წარსტაცა, იყო „ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი“. თუმცა, როგორც ამას „ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს, ამ ტერიტორიებზე, იურიდიულად, ბაგრატ III (დავით კურაპალატის მემკვიდრე და გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე) უკვე აღარ ჰქონდა უფლებები. წყაროს თანახმად, დავით კურაპალატმა არა მარტო თავად მისცა პირობა ბასილი კეისარს, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ეს მიწები (რომელიც დავითს თავად იმპერიიდანვე ჰქონდა მიღებული ბარდა სკლიაროსის ამბოხის ჩახშობაში აქტიური მონაწილეობისა გამო) ბიზანტიას დარჩებოდა, არამედ ბასილის თავადვე აახლა თავისი აზნაურები, რომლებმაც ბიზანტიის იმპერატორს ფიცით პირობაც კი მისცეს, რომ დავითის გარდაცვალების შემდეგ საკუთარ ციხეებს ბასილს გადასცემდნენ. „გამოვიდა ბასილი ბერძენთა მეფე, და მისცნეს მას ციხენი აზნაურთა ამა დავითისა, და დაიპყრა ბასილი მეფემან მამული დავით კურაპალატისა“ [სუმბატ დავითის ძე : 382].

დაკავებულ ტერიტორიაზე, ბასილიმ შექმნა იბერიის თემი – საკატაბანო და იქ მმართველად ბიზანტიელი მოხელე, კატაბანი დანიშნა [Розен, В. 1883 : 41]. (იხ. ჩანართი რუკა)

აღნიშნული ტერიტორიის დაკავებით, ბიზანტიამ, საქართველოს მზარდ სახელმწიფოს, სამხრეთ-დასავლეთი ზღუდე მოურღვია. „იბერიის“ საკატებანოდან იგი მიზან-

მიმართულად ახორციელებდა ექსპანსიას საქართველოსა და სომხეთზეც; რადგანაც, როდესაც კი საქართველო იწყებდა ბრძოლას ბიზანტიის წინააღმდეგ დაკარგული მიწების დასაბრუნებლად, მას სომხური სამეფო-სამთავროებიც მაშინვე აუბამდნენ მხარს (ლასტივერტეცი ა.,).

ქართულ ისტორიოგრაფიაში არ არის აზრთა ერთიანობა იმ საკითხზე, თუ სახელდობრ რისი პირობა მისცა დავით კურაპალატმა იმპერატორ ბასილს; რას გადასცემდა ანდერძით სიკვდილის შემდეგ ბიზანტიას – მთელ თავის სამეფოს თუ ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობაში დახმარების სანაცვლოდ მიღებულ მიწებს. ერთი კი შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ვერ გასწევდა ისეთ მძაფრ წინააღმდეგობას „ერთმორწმუნე“ მტრის წინააღმდეგ, რაიმე სამართლებრივი საფუძველი რომ არ ჰქონებოდა [ლორთქიფანიძე მ., 1979 : 175].

აღნიშნული ტერიტორიის დაკარგვა მძიმე მარცხი იყო საქართველოს სახელმწიფოსთვის და გასაგებია, რომ გაერთიანება-გაძლიერების გზაზე მდგარი ქვეყანა ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში ეცდებოდა ამ მარცხის გამოსწორებას. 1014-1018 წლებში ბასილი კეისარი იმპერიის დასავლეთ საზღვრებთან ბულგარელებთან ომში იყო ჩაბმული. ისარგებლა რა შექმნილი მდგომარეობით, ბაგრატ III ვაჟმა, გიორგი I (1014-1027 წ.წ.) ილაშქრა ამ ტერიტორიებზე და დაიკვა ბიზანტიელთაგან დაჭერილ ციხე-სიმაგრეები.

იაჰია ანტიოქელის ცნობით, საქართველო საგულდაგულოდ ემზადებოდა ბიზანტიასთან მოსალოდნელი ომისათვის. მას მოლაპარაკებები დაუწყია ეგვიპტის ხალიფა ალ-ჰაქიმთანანაც. ერთობლივი გეგმის თანახმად, მოკავშირეებს ერთდროულად უნდა შეეტიათ ბიზანტიისათვის ორი სხვადასხვა მხრიდან [ჯავახიშვილი ივ., 1983 : 125].

დაასრულა თუ არა ბასილი კეისარმა ბულგარეთის ომი, საქართველოსთვისაც მოიცალა. მან ქართველთაგან დაკავებული ციხე-სიმაგრეების დაცლა მოითხოვა, რაზედაც გიორგის მტკიცე უარი განუცხადებია. ბიზანტიელებს საქართველო - ეგვიპტის ფარული კავშირიც შეუტყვიათ და მათი გეგმის ჩაშლა განუზრახავთ – ბასილი II ვითომ ანტიოქიაში საომრად გაემზადა; სინამდვილეში კი საქართველოსკენ გამოემართა. ეს მომხდარა გიორგის მეფობიდან

მეშვიდე წელს (1021 წელს). თვით კეისარი ბასილი უძღოდა ბიზანტიელთა ლაშქარს. საქართველო ამ ომისათვის არ იყო სათანადოდ მომზადებული.

„მატიანე ქართლისას“ ცნობით, ბასიანთან დაბანაკებული მოწინააღმდეგენი რამდენიმე დღე ზვერავდნენ ერთმანეთს. ბიზანტიელთა ჯარის მრავალრიცხოვნებამ გიორგი აიძულა უკან დაეხია; იგი გაბრუნდა და მტრისათვის ხელის შეშლის მიზნით დაწვა ქ. ოლთისი, შემდეგ ჩავიდა კოლას. ბიზანტიელები უკან მიჰყვნენ. სოფელ შირიმნთან მოწინააღმდეგეები შეებნენ ერთმანეთს. ქართველებმა აქ, პირისპირ ბრძოლაში, გაიმარჯვება მოიპოვეს, მაგრამ გაუფრთხილებლობით უკან დაბრუნდნენ იმ დროს, როცა ბიზანტიელთა დამარცხებული ჯარი სამცხის სიღრმეში შევიდა; მტერმა გზადაგზა კოლა-არტაანი და ჯავახეთი ააოხრა. ამასობაში გიორგი მეფეს ჰერ-კახნი მიეშველნენ (მატიანე ქართლისა), მაგრამ ამჯერად ბასილი კეისარი ბრძოლას მოერიდა, გაცლა ამჯობინა, ნგრევა-რბევით გაბრუნდა და ქალდეაში (ტრაპიზონის მახლობლად) დაიბანაკა.

ბასილიმ საზავო მოლაპარაკება დაიწყო, მაგრამ გიორგი მოლაპარაკებას აჭიანურებდა, რადგან ბრძოლის განახლება ჰქონდა განზრახული. ამ დროს ბასილის აუჯანყდნენ სარდლები – ქსიფე და ფოკა. ბიზანტიელი ისტორიკოსის მოწმობით (გიორგი კედრენე), ამ შეთქმულებაში ფარულად გიორგი მეფეც მონაწილეობდა. იმპერატორმა საქართველოს საქმეებს თავი ანება და აჯანყების ჩახშობას შეუდგა. ამასობაში გიორგი ისევ შეუდგა საომარ სამზადისს, მაგრამ იმპერატორმა სძლია აჯანყებულებს და ფოკას მოკვეთილი თავი გიორგის გამოუგზავნა, რითაც მიანიშნა, რომ იცოდა მისი განზრახვის შესახებ. ამჯერად, ბასილი კეისარმა უფრო ძლიერ შემოუტია საქართველოს. ბასიანთან ბრძოლაში ქართველები სასტიკად დამარცხდნენ. მხარეებს შორის ზავი 1022 წელს დაიდო. ამჯერად, გიორგი იძულებული იყო დაეთმო არა თუ სადაო მიწები, არამედ ბიზანტიელთაგან ახლად დაპყრობილი ციხეები ბასიანში, კოლა-არტაანსა და ჯავახეთში. გარდა ამისა, ბასილიმ გიორგის მძევლად მოსთხოვა 3 წლის ბაგრატი (მომავალი ბაგრატ IV), რომელიც დათქმული პირობით, 2 წლის შემდეგ უკან უნდა გამოეშვათ [ლორთქიფანიძე მ., 1979 : 175].

1025 წელს ბასილი II გარდაიცვალა. ტახტზე ავიდა მისი ძმა კონსტანტინე (1025 - 1028). კონსტანტინეს ტახტზე ასვლისთანავე სომხური ოლქის ბიზანტიელ მმართველს, ნიკიფორე კომნენოსს მოუწყვია შეთქმულება, რომელშიც ჩაბმული ყოფილა გიორგი მეფეც (ლასტივერტეცი ა.). ამ შეთქმულების გამჟღავნების გამო კონსტანტინემ გაამკაცრა საქართველოს მიმართ პოლიტიკა.

ბიზანტიელთა ამაოხრებელი ლაშქრობები არ შეწყვეტილა გიორგი I გარდაცვალების შემგომაც. მცირეწლოვანი ბაგრატ IV გამეფებისთანავე ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე VIII დაარღვია 1022 დადებული ზავი და საქართველოში ჯარი გამოგზავნა. მტერმა გაძარცვა და ააოხრა სამხრეთ საქართველო. ტაოს მსხვილ ფეოდალთა ნაწილი ვაჩე კარიჭისძისა და ეპისკოპოს იოანე ბანელის მეთაურობით მტრის მხარეზე გადავიდა. ნათელია, რომ ამ დროს ქართულ სახელისუფლო და საეკლესიო წრეებში არ არსებობდა ერთიანი ხედვა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის თაობაზე და ქართული ელიტის ნაწილი საქართველოს მომავალს კვლავაც ბიზანტიურ ჩრდილქვეშ მოიაზრებდა. მიუხედავად ქვეგამხედვართა გარკვეული მხარდაჭერისა ბიზანტიელებმა ვერ შეძლეს კლდეკარის ციხესიმაგრის აღება. შავშეთ-კლარჯეთში კი თავდაცვით ბრძოლებს სათავეში ჩაუდგნენ ეპისკოპოსები საბა მტბევარი და ეზრა ანჩელი და მტერს ამ მხარის დაპყრობის საშუალება არ მისცეს.

ამის შემდეგ ბიზანტიელებმა ტაქტიკა შეცვალეს: მათ საქართველოში გამოგზავნეს დემეტრე უფლისწული (გურგენ არტანუჯელის ძე), რომელიც ბაგრატ III დროს ბიზანტიაში გაიქცა. დემეტრეს პოლიტიკურ ასპარეზზე გამოყვანით ბიზანტია ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ის საქართველოს დასაპყრობად კი არ მოდიოდა, არამედ ბაგრატ III მიერ უკანონოდ დაჩაგრული ბატონიშვილის უფლებათა დასაცავად იბრძოდა. სამწუხაროდ, მტრის ამ ცბიერ ტაქტიკას, რასაც თან ერთვოდა მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მოსყიდვა-მოქრთამვაც, წარმატება მოჰყვა. როგორც მემატიანე აღნიშნავს - „მიიქციეს ერნი, სოფელნი უგუნურ-უსუსურნი ცნობითა და გონებითა... ამით მიზეზითა მოიქციეს მრავალნი კაცნი ქუეყანისანი წურილისა [სუმბათ დავითის-ძე : 382]“.

მაგრამ ამ კრიტიკულ მომენტში კონსტანტინე VIII გარდაიცვალა და ბიზანტიელებმა ჯარი საქართველოდან გაიწვიეს.

ომში დასუსტებულ საქართველოს ბრძოლის გაგრძელება არ შეეძლო; თვით ბიზანტიამაც აღმოსავლეთში მტრების მოწოლის გამო საქართველოსთან ურთიერთობის გაუმჯობესების საჭიროება დაინახა. ასეთ პირობებში მარიამ დედოფლის ინიციატივით 1029/1030 ბიზანტიასთან ზავი დაიდო. იმპერატორმა რომანოზ III ბაგრატ IV ცოლად მიათხოვა თავისი ძმის ბასილის ასული ელენე და მიანიჭა კურაპალატობის პატივი. ეს პოლიტიკური კავშირი ორი ქვეყნის კეთილმეზობლური ურთიერთობის საფუძველი უნდა გამხდარიყო, რასაც, საბოლოოდ, აღსრულება მაინც არ ეწერა [გუჩუა ვ., 1977 : 128-129].

დაახლოებით ამდაგვარი ვითარება სუფევდა კავკასიაში X-XI საუკუნეების მიჯნაზე, როცა იოანე მარუშუსძის მოთავეობითა და დიდი მეცადიენეობით კავკასიაში საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ერთიანი მონარქიის შექმნას – ეს იყო პოლიტიკურად მომწიფებული ამოცანა, რომელიც შემზადდა თანმხვედრი კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესებით.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას წინ უსწრებდა საეკლესიო გაერთიანება. ქართული ეკლესიის კულტურული ზეგავლენით ყალიბდებოდა საერთო ქართული თვითშეგნება - ქართული ენის, ქართული მწიგნობრობის და „ქართული“ ქრისტიანობის საფუძველზე. იმ დროს, თუმცა კახეთი, ჰერეთი და ქართველთა სამეფო (ტაო-კლარჯეთი) ჯერ კიდევ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ, ეკლესიურად მაინც მცხეთის ტახტს ექვემდებარებოდნენ.

სხვა ვითარება იყო დასავლეთ საქართველოში – დასავლეთ საქართველოს ეკლესია დიდი ხნის განმავლობაში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ემორჩილებოდა. ამ დამოკიდებულებისაგან იგი გათავისუფლდა X საუკუნის შუა ხანებისათვის აფხაზთა მეფის გიორგი II მეფობის დროს, როდესაც დაარსდა ჭყონდიდის საეპისკოპოსო და განახლდა-გამშვენდა მარტვილის ტაძრი. ამვე ხანებიდან იგი უკვე სრულიად საქართველოს ეკლესიასთან იყო გაერთიანებული [Анчабадзе З., 1959].

საქართველოს გაერთიანებას ხელი შეუწყო უაღრესად მძიმე საგარეო ვითარებამაც – საქართველოს ცალკეულ კუთხეებს განუწყვეტელი ბრძოლა უხდებოდათ ბიზანტიელთა და არაბთა წინააღმდეგ. ამ განმანთავისუფლებელი ბრძოლის თანმდევი ნაწილი იყო ბრძოლა, მიმართული შიდა პოლიტიკური ერთიანობისაკენ და ხელისუფლების ცენტრალიზაციისაკენ. ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო, დამყარებული სუზერენულ-ვასალურ პოლიტიკურ სისტემაზე, ქართველ აზნაურთა ინტერესებსაც შეესაბამებოდა.

ქვეყნის გაერთიანების ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენდა საერთო ეკონომიკური აღმავლობა, მეურნეობის სხვადასხვა დარგში ცალკეული რაიონების დაწინაურება, რაც ასევე განაპირობებდა ერთიანობისაკენ მისწრაფებას.

სამხრეთ კავკასიაში, იმ პერიოდში, პოლიტიკურ არენაზე ერთიანი მონარქიული სამეფოს გამოსვლა, თავისთავად, ნიშნავდა ამ მხარეში ახალი პოლიტიკური მოთამაშის გაჩენას. თავის მხრივ, ეს კი უდრიდა იმ სავაჭრო-კომუნიკაციებზე ბიზანტიის კონტროლის შესუსტებას და შესაძლოა დაკარგვასაც კი, რომელსაც მანამდე იგი, დანაწევრებულ ქართული მხარეების მიერ მის სუზერენობს აღიარების საფუძველზე, სრულად ფლობდა.

არადა, ეს გახლდათ იმ პერიოდისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-სატრანზიტო არტერიის, საყოველთაოდ ცნობილი აბრეშუმის გზის კავკასიის მონაკვეთი რომლის ამოქმედებასა და მასზე კონტოლს, თავის დროზე, VI-VII საუკუნეებში, ბიზანტიამ დიდი ენერგია შეალია.

აბრეშუმი, რომელიც ბიზანტიის იმპერიაშიც დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა, სახელმწიფოში, ძირითადად, მისივე მოქიშპე ირანის გავლით შემოდიოდა აღმოსავლეთიდან. ბიზაანტია არაერთხელ შეეცადა აეცილებინა ირანის როგორც შუამავალის როლი აბრეშუმის დიდ სავაჭრო გზაზე. ამისთვის სხვადასხვა ხერხს მიმართავდა, მაგრამ უშედეგოდ.

ჯერ კიდევ იუსტინიანე I-მა 531 წელს მოლაპარაკება გამართა ეთიოპელ ვაჭრებთან, რათა მათ ეკისრათ შუამავლობა და ჩინური აბრეშუმი ინდოეთის ოკეანის გავლით

შემოეტანათ, მაგრამ ამაოდ. ირანელი ვაჭრები ინდოეთის ნავსადგურებში ისეთი გავლენით სარგებლობდნენ, რომ ეთიოპელებმა ვერ მოახერხეს მათთვის წაერთმიათ მონოპოლია ვაჭრობაზე. აღნიშნულის შემდეგ, 570 წელს ხოსრო I იემენს დაეუფლა და ბიზანტიელებს წითელი ზღვითა და ინდოეთის ოკეანით აღოსავლეთისკენ გასასვლელი ჩაუკეტა [გოილაძე ვ., 1997 : 28].

აბრეშუმის დიდ სავაჭრო გზაზე ირანის ძალაუფლება ბიზანტიას დიდ პრობლემას უქმნიდა. ბევრი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ ბიზანტიის ერთადერთი გამოსავალი ახალი სავაჭრო გზის დადება იყო. ახალი გზით, ვაჭრები შუა აზიიდან ჩრდილოეთით, კასპიისპირეთზე და ჩრდილოეთ კავკასიაზე გავლით, კავკასიის ზეკარებით ჯერ ალბანეთში, ქართლში ან ეგრისში უნდა მოხვედრილიყვნენ, შემდეგ კი ბიზანტიაში. მაგრამ საქმე ის იყო, რომ იმხანად ალბანეთი და ქართლი ირანის ქვეშევრდომები იყვნენ; ამიტომ, დარუბანდისა და დარიალის ზეკარებსაც ირანელები იცავდნენ. ირანელთა კონტროლ ქვეშ მოქცეულ გზაზე ქარავანი კვლავ ვერ გაივლიდა. რჩებოდა ჩრდილოეთი კავკასიიდან დასავ-

ჩრდ. კავკასიაზე გადმომავალი სატრანზიტო გზა

ლეთ საქართველოში გადამავალი გზები, მაგრამ აქაც დაბ-
რკოლებას ქმნიდა ირანი.

ახალი სავაჭრო გზის იდეა რომ განხორციელებულიყო, ბიზანტიას თბილისი უნდა აეღო, ქართლზე და ალბანეთზე ბატონობა უნდა დაემყარებინა; ამით კავკასიის ზეკარი მის ხელში იქნებოდა და ირანის შუამავალი როლიც გამოირიცხებოდა.

627 წელს ჰერაკლე კეისარმა შეტევა წამოიწყო. თავდაპირველად ის დასავლეთ საქართველოში შეიჭრა, დაუკავშირდა ჩრდილო კავკასიელ ხაზარებს და თბილისზე ლაშქრობა შესთავაზა. ხაზარები სიამოვნებით დათანხმდნენ იმპერატორის წინადადებას. იმავე წელს ხაზარები და ბიზანტიელები თბილისს მოადგნენ და გარემოიცვეს ქალაქი მაგრამ, ხანგრძლივმა ალყამ არ გაამართლა და ბიზანტიელებმა და ხაზარებმა ქალაქის აღება ვერ შესძლეს. ჰერაკლეს დროის დაკარგვა აღარ შეეძლო, მიატოვა თბილისი და სამხრეთით დაიძრა. 628 წელს ხაზარები კვლავ მოადგნენ თბილისს. ამჯერად მათ აიღეს ქალაქი და საშინლად ააოხრეს იგი.

ეს უსასტიკესი ლაშქრობა აღწერილი აქვს მოვსეს კალანკატვაცს. როგორც გადმოგვცემს სომხურენოვანი ისტორიკოსი – „ხაზარებმა გარემოიცვეს ნებიერი, მოვაჭრე, სახელოვანი დიდი ქალაქი თბილისი... ხელი მიჰყვეს საგანძურებს. მთელი სიმრავლე მძმედ დატვირთული მეომრებისა მიდიოდა თავის ბატონთან და მიჰქონდათ ნადავლის ზვინები და ხვავები. იმდენად მოჰყარეს, რომ თვალს წყალი ელეოდა ოქროსა და ვერცხლის ნაქარგების უთვალავი რაოდენობის ცქერაში“ [მელიქსეთ-ბეგი ლ., 1941: 28].

იმავე წელს დაიდო ზავი ბიზანტიასა და ირანს შორის. ჰერაკლემ დაიბრუნა სომხეთი, სირია, მესოპოტამია და ეგვიპტე. მასვე ერგო ქართლიც. ბიზანტიელები წყალობით აჯილდოებდნენ მათ მხარეს გადასულ ქართველებს. ვინც ფლობდა თბილისს, ის ფლობდა კავკასიას და შესაბამისად, აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემაერთებელი კარიბჭის გასღებიც ეპყრა ხელთ.

მაგრამ აი, VII საუკუნის 50-იანი წლებიდან მსოფლიოს პოლიტიკურ არენაზე ჩნდებიან არაბები, რომლებმაც დაიპყრეს ირანი, შუა აზია და ინდოეთამდე მივიდნენ. ირანის სახელმწიფოს დაცემამ არაბებს გზა კავკასიისკენ გაუხსანა.

კავკასიაში არაბების გამოჩენა თავისთავად აღუძრავდა კიდეც მათ მადას კავკასიის გადმოსასვლელი გზების გაკონტროლებისა და ისინი იწყებენ კიდეც სვლას დარუბანდისკენ და იკავებენ მას.

654 წელს მათ დაამარცხეს ბიზანტიელები და ქართლს მოადგნენ. ქართლის ერისმთავარმა სტეფანოზ II -მ ერთადერთ სწორი გადაწყვეტილება მიიღო. მან არაბთა სარდალ ჰაბიბ იბნ-მასლამას დაზავება შესთავაზა. ირანი აღარ არსებობდა, დასუსტებულ ბიზანტიას კი ქართლის დაცვა აღარ შეეძლო, ამიტომ დაზავება ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო. თავის მხრივ, არც არაბები იყვნენ წინააღმდეგნი თუ ქართლი მას ნებით დაემორჩილებოდა. არაბებს დაპყრობილი ტერიტორიებზე განმტკიცება ესაჭიროებოდა.

ამრიგად, არაბთა სახალიფომ კონტროლი დაამყარა კავკასიის ორ უმთავრეს სავაჭრო ეკონომიკურ პუნქტზე – თბილისსა (სადაც მათ მოგვიანებით თბილისის საამირო შექმნეს) და დარუბანდზე; პუნქტებზე, სადაც მოემართებოდა ცენტრალურ კავკასიონის ქედზე გადმომავალი, ხაზარეთითან მომავალი „აბრეშუმის გზის“ საქარავნო არტერიები.

მიუხედავად ყოველივე ამისა, არაბთაგან შეუვალი რჩებოდა კავკასიის მთიანეთი და დასავლეთ და სამხრეთ საქართველო.[7] სწორედ ცენტრალური კავკასიონის გადმოსასვლელების მეშვეობით უნდა ევლო ხაზარეთიდან მომავალ სავაჭრო ქარავნებს ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფოს გავლით ბიზანტიის იმპერიისკენ. შესაბამისად, ამას უნდა გამოეწვია კავკასიის ცენტრალური ქედის მთელს სიგრძეზე – აღმოსავლეთიდან (დაღესტანი) დასავლეთის მიმართულებით (სვანეთი) მსხვილი დასახლებული პუნქტების გაჩენა; სავაჭრო გზამ ამ მხარეებს დამატებით ეკონომიკური დატვირთვა შესძინა – მანამდე თუ კავკასიის მთიანეთის მოსახლეობა ძირითადად მესაქონლეობით და

[8] იმ პერიდში არსებულ ვითარებას ნათლად გვიხატავს იოვანე საბანის ძის თხზულება „წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესისა ჰაბოჲსი“.

დამხმარე მიწათმოქმედებით ირჩენდა თავს, ახლა ისინი ამ სავაჭრო-სატრანზიტო გზების დაცვა-კონტროლითაც იყვნენ დაკავებული. სავაჭრო გზამ ამ მცირემიწიან მხარეში ხელოსნობის განვითარებაც მოიტანა და ამ პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს მაგ. აღმ. კავკასიის მთიანეთში (დაღესტანი) მელითონეობით, მეთუნეობით და შინამრეწველობის სხვა დარგებით განთქმული დიდი დასახლებების გაჩენაც [Котович В. Г., 1980 : 78-93].

როგორც ამაზე სხვადასხვა წყაროები და გამოკვლევები მეტყველებენ, კასპიისპირა დაბლობი ადგილობრივი მოსახლეობის (და ასევე მოსული მოსახლეობის) მიერ მუდმივ სამოსახლო-სამეურნეო რეგიონად არ გამოიყენებოდა და იგი უფრო გზაგამტარის ფუნქციას ითავსებდა, რომელიც მთაში გაშლილი (და იქ დაცული) მოსახლეებისგან კონტროლდებოდა [Котович В. Г., 1980 : 78-93]. კასპიისპირული უსაფრთხო საქარავნო გზა, აქ ძირითადად მოძრაობდა არა ადვილად გასავლელ კასპიისპირა დაბლობში, არამედ კარგად დასახლებულ და გამაგრებულ მთაგრეხილებზე, სადაც ცხოვრობდა კიდეც მხარის ძირითადი მოსახლეობა და შესაბამისად, სადაც იყო ვაჭრობის, გაცვლა-გამოცვლისა და აღებ-მიცემობის ხელსაყრელი პირობები. ამ გზაზე, ერთიმეორისგან ერთი დღის სავალ მანძილზე მდებარეობდნენ ადრე შუასაუკუნეების ქალაქები – თარგუ, ურწექი, ზედა ჩირიიურთი, ანდეაული, მაჰაჩყალინსკოე (დღევანდელი) და ა.შ. ყველა ეს არქეოლოგიური ძეგლები მრავალფენიანია და აქ გამოვლენილია ალბანური და ადრეშუასაუკუნეების ხანის მძლავრი არქეოლოგიური ფენები. სამწუხარო ისაა მხოლოდ, რომ ეს ძეგლები, არქეოლოგთა მიერ არ არის შესწავლილი გულდაგულ და საფუძვლიანად [Котович В. Г., 1980 : 78-93]. ამგვარი სურათი იკვეთება ცენტრალური კავკასიონის მთელს ზოლზე.

ბიზანტიელები რომ მართლაც ჩრდილოეთ კავკასიიდან ამიერკავკასიში გადმომავალი ზეკარებით უკავშირდებოდნენ აღმოსვლეთიდან მომავალ ვაჭრებს, ჩრდილოეთ კავკასიში, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალებითაც დასტურდება.

მაგ. აბრეშუმის ქსოვილის ნაშთები აღმოჩენილია ყაბარდოდან დასავლეთ საქართველოში გადმომავალი სანჭაროს,

მარუხისა და ქლუხორის ზეკარების დასაწყის მიდამოებში. რაც იმის მაჩვენებლი უნდა იყოს, რომ ამ მხარეების მოსახლეობა სავაჭრო ქარავნებს ემსახურებოდა – ვაჭრებს ღამეს ათევინებდა, აძლევდა სურსათ-სანოვაგეს, უცვლიდა ცხენებს, ემსახურებოდა გამყოლად ძნლად სავალ გზებზე. ყოველივე ამის საფასად აქაური მცხოვრებნი სათანადო გასამრჯელოსაც ღებულობდნენ (მათ შორის ნატურით – აბრეშუმის ქსოვილების სახითაც) [გოლიაძე ვ., 1997 : 39].

მრავლისმეტყველია ისიც, რომ დღესაც, სვანეთის ეკლესიებში მრავლად ვაწყდებით შუა სუკუნეების ხანის უძვირფასესი აბრეშუმის ქსოვილების ნაშთებს რომელთა ნაწილი დღეს დაცულია მესტიის მუზეუმის საცავებშიც (იხ. ფერადი ტაბულა III2).

მაშასადამე, სვანეთსა და ზოგადად დასავლეთ საქართველოს მთიანეთზე (ისევე როგრც კავკასიის ქედის სხვა ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებზე) გადიოდა აღმოსვლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის დამაკავშირებელი სავაჭრო-ეკონომიკურ გზები. გარკვეულწილად სწორედ ამასაც უნდა უკავშირებოდეს X-XI-XII საუკუნეებში სვანეთისადმი განსაკუთრებული ყურადღება მაშინდელი ცენტრალური ხელისუფლებისა. ამის ერთ-ერთ უმთავრეს დასტურად უნდა ჩაითვალოს ის უმდიდრესი მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები, რომელიც დღემდე შემოგვინახა საქართველოს ამ უმშვენიერესმა კუთხემ.

*
* *

ჯგრუბ ლიჩენიშის დღესასწაულის აღწერის შემდეგ, თითქმის ორი კვირის მანძილზე, სვანეთის სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიციის წევრებთან ერთად (მანანა ხიზანიშვილი, ვალერი სილოგავა, მამუკა ახალაშვილი, მესტიის მუზეუმის იფარის ზონის მცველი გელა ხვისტანი, მძღოლი დათო ლევანიშვილი) მონაწილეობა მივიღე იფარის თემში შემავალი სოფლების (იელი, ნაკიფარი, წვირმი, ზეგანი; (როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე აღვნიშნე, სოფ. ადიშისიც ამ თემში შედის) ეკლესიებში დაცული სიძველეების აღწერა-აღნუსხვაში.

ამ ეკლესიებში, რომლებიც ძირითადად X-XI – XII საუკუნეებს განეკუთვნება და ამავე პერიოდის ფრესკებითვეა შემკული, მრავლადაა დაუფერავი და დაფერილი ლითონით შესრულებული ჭედური თუ ფერწერული ხატები, საკურთხევლის წინ აღსამართავი ჯვრები და სხვადასხვა ტიპის საეკლესიო ნივთები; ეს ძეგლები გამოირჩევიან ავთენტურობის მაღალი ხარისხით და უძვირფასეს ინფორმაციას გვაწვდიან შუა საუკუნეების ქართული ოქრომქანდაკებლობის და ხატწერის განვითარების თავისებურებებზე, მხატვრულ სტილზე, იკონოგრაფიაზე, დამზადების ტექნიკასა და ტექნოლოგიაზე; თავისთავად, ყოველივე ეს ფასდაუდებელი წყაროა განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესასწავლად.

ვ. სილოგავა, მ.ხიზანიშვილი, მ. ახალაშვილი, დ. ლევანიშვილი (მძღოლი), გ. ხვისტანი (ადიშის ზონის ეკლესიების მცველი). სოფ. ადიში 1981 წ.

ამ უნიკალურ ნივთთა შორის, თავისი დიდებულებით, უზადო შესრულებითა და ინფორმატულობით, განსაკუთრებით გამოირჩევა ნაკიფარის წმინდა გიორგის ხატი, რომელიც საკუთრივ სოფ. ნაკიფარის წმინდა გიორგის ეკლესიისათვის შეუსრულებია ასან ოქრომჭედელს ადგილობრივი დიდებულის მარუშის დაკვეთით (ტაბ. II4).

თავისთავად, ამ დიდებულ სიწმინდესთან უშუალოდ მრავალგზის მიახლებამ, გარკვეულწილად, დიდად განაპირობა კიდეც ამ ნაშრომის შექმნის იდეაც.

ნაკიფარის წმ. გიორგის სახ. ეკლესია X-საუკუნეშია აგებული შირიმის ქვით. ექვთიმე თაყაიშვილი ასე აგვიწერს ამ ეკლესიას – „ნაკიპარი, იელის ქვემოდ ძევს, მაღლობზეა გაშენებული და ერთ-ერთი საუკეთესო სოფელია იფარის თემისა. აქ არის კანცელარია და სკოლა. ძველი ეკლესიაც ამ სოფლისა, რომლის ირგვლივ გაშენებულია სოფელი, ერთერთი საუკეთესოთაგანია სვანეთში...

ეკლესია ნაკიპარისა წმინდა გიორგის სახელზეა აშენებული თლილი ქვისგან. ეს არის ჩვეულებრივი სვანური ბაზილიკის რიგის ეკლესია, რომელსაც სამი მხრით მიშენებული აქვს ეკვტერები. ეკვტერები გაერთიანებული არიან და ახდენენ შთაბეჭდილებას გალერეისა, რომელიც ეკლესიას უვლის სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით (ამჟამად ჩრდილო ეკვტერი მოხსნილია სრულიად - პ.ბ.)“ [თაყაიშვილი ე., 1991 : 104]. მისი აღმოსავლეთი ფასადი შემკულია მოხატულობითა და ცხოველთა რელიეფური გამოსახულებებით (ხარის, არჩვის, ირმის, ლომის და დათვის გამოსახულებანი). გარეთა შემკულობაც ეკლესიის აშენების თანადროულია. (სურ 25-26 – ნაკიფარის ეზო)

ეკლესიის ინტერიერი მოხატულია მეფის მხატვარ თევდორეს მიერ 1130 წელს. ფრესკული მხატვრობა ძალზე შთამბეჭდავია და გამოირჩევა საინტერესო მხატვრული გადაწყვეტით. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კონქის კომპოზიცია, სადაც ვედრების გავრცობილი ვერსიაა გამოსახული და ჩრდილოეთ კედელზე მოთავსებული წმ. მხედრების (წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს) საზეიმო, ჰერალდიკური ხასიათის კომპოზიცია.

ეკლესიაში არის 1130 წელს შესრულებული, თავისი შინაარსით მეტად საიტერესო ერთი ფრესკული წარწერაც, რომელიც შეისწავლა და გამოსცა ვალერი სილოგავამ; მოგვყავს წარწერა სრულად, მისეული წაკითხვით –

„1130 წ.

იფარი, ნაკიფარი; წმ. გიორგის ეკლესია („ჯგრუგ“)

ასოთმთავრული; 2 სტრიქონიანი; შესრულებული თეთრი საღებავით მუქი მწვანე ფერის ფონზე. წარწერა მოთავსებულია კანკელის კარნიზზე, დასავლეთის მხარეს, მთელს მის სიგრძეზე. უჭირავს ფართობი: 330 X 17. შესრულებულია

მოგრძო ასოებით: 5-7. დამწერლობა კიდურწერტილოვანი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი; ქარაგმის ნიშანი: კიდურწერტილოვანი, განივი ხაზი. წარწერის ფონის საღებავი ადგილ-ადგილ აცვენილია და მის შედეგად გაშიშვლებულია კანკელის ადრინდელი მოხატულობის ფენა. ადრინდელი მხატვრობა შესრულებული ყოფილა წითელი საღებავით თეთრ ფონზე და როგორც ჩანს, გეომეტრიული და პუნსონირებული ორნამენტებისგან შედგენოდა. ფონის აცვენის შედეგად წარწერის ტექსტი ნაკლულია: რამდენიმე ადგილას საღებავი გადასულია მთლიანად, ხოლო ზოგან ასოები დაზიანებულია.

თარიღი: ქორონიკონი [ტნ] = 350+780=1130 წ.

[+ სა]ხელითა ღ(მრ)თისაითა მოიხ(ა)ტა და შეიმკო საყდარი ესე წ(მი)დისა გ(იორგ)ისი სად(ი)დ(ე)ბ[ელად და სალოცველად სულ]ისა აზნ(აუ)რთა [ამ(ი)ს]ა ხ(ე)ვ(ი)ს[ა]თა ყ(ოვე)ლთა ე[რ]თ(ო)ბ(ი)თ./

[წ](მიდა)ო გ(იორგ)ი მთავ(არმოწ[ამე]ო, შ(ეიწყალ)ენ და ააშენენ, ა(მე)ნ.

მოიხატა და [შეიმკო საყდარი ეს]ე ქ[რ]ონ(ი)კ(ო)ნსა [ტნ], ხ(ე)ლ(ი)თა თ(ევდორ)ე მეფ(ი)სა მხ(ა)ტვრ(ი)სა(ი)თ/ა.“

როგორც ვალერი სილოგავა აღნიშნავს, აქ განსაკუთრებით საინტერესოა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ეკლესია მოიხატა და შეიმკო არა მარტო ხევის აზნაურთა სადიდებლად, არამედ ხევის აზნაურთა ყოველთა ერთობით სადიდებლად [სილოგავა ვ., 1977 ; 58-59]. პირად საუბრებშიც, ბ-ნი ვალერი ხშირად აღნიშნავდა, რომ ეს ფორმა - „აზნ(აუ)რთა [ამ(ი)ს]ა ხ(ე)ვ(ი)ს[ა]თა ყ(ოვე)ლთა ე[რ]თ(ო)ბ(ი)თ./“ ხაზს უნდა უსვამდეს ნაკიფარის და ზოგადად იფარის თემის განსაკუთრებილ, დაწინაურებულ, ადგილს იმ პერიოდის სვანეთის საერისთაოში.

მთლიანად, სვანეთის საერისთოს, რომ თვალსაჩინო ადგილი ეკავა X-XII საუკუნეების ერთიანი ქართული სახელმწიფოს ცხოვრებაში, ადასტურებს სოფ. ლატალის მაცხოვრის ტაძრის მოხატულობაც, სადაც ტაძრის ინტერიერში, ჩრდილოეთ კედელზე შესრულებული ფრესკა ასახავს მეფე დემეტრე I მეფედ კურთხევის რიტუალს. ამ ფრესკაზე, რომელიც მიქაელ მაღლაკელის ყალამს ეკუთვნის, სვანთა ერისთავი სამეფო

მახვილს არტყამს გვირგვინოსან დემეტრე I. (იხ. ფერადი ტაბულა III 1)

მაშასადამე, როგორც ამ ისტორიული წყაროდან ირკვევა, სვანეთი ამ ხანებში ამირსპასალარის [სურგულაძე ივ., 1975 : 339] საგამგებლო მხარეს, საკარგავს [მესხია შ., 1982, : 324] წარმოადგენდა. ამირსპასალარისა, რომლის პრეროგატივაც ყოფილა ახლადკურთხეული მირონცხებული მეფისთვის ხმლის შემორტყმა.

სწორედ ამირსპასალარის (ამ შემთხვევაში სვანთა ერისთავის, რომელიც ვეზირთა პირველ სამეულში შედიოდა ათაბაგსა და მანდატურთუხუცესთან ერთად) საგამგებლოში იფარის თემის აზნაურებს, „ყოველთა ერთობით“ ეჭირათ ნაკიფარი; სადაც ისინი „ერთობით“ აგებენ საყდარს და ახატვინებენ მას მეფის მხატვარ თევდორეს.

აღნიშნულ პერიოდში, სვანეთის (ისევე როგორც ზოგადად დას. საქართველოს მთიანეთის), როგორც ტერიტორიულ – ადმინისტრაციული ერთეულისადმი განსაკუთრებული პოლიტიკური ინტერესის საბაბი და შესაბამისად, ამ მხარის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი უნდა ყოფილიყო კავკასიონის ქედზე მიმავალი დიდი აბრეშუმის გზის სვანეთის მონაკვეთიც. როგორც ცნობილია აქ გადიოდა ამ სატრანზიტო გზის ერთერთი არტერია: მამისონი - ონი - ლაილაში - ლენტეხი - ჩიხარეში - ცანა - უშგული - კალა - იფარი - მულახი - მესტია - ლენჯერი - ლატალი - ბეჩოს მიმართულებით .

ცნობილია ასევე, რომ შუა საუკუნეებში, მეფე (ცენტრალური ხელისუფალი), რომელიც რომელიმე ტერიტორიულ ერთეულს -„ქვეყანას“, „მხარეს“ გადასცემდა რა სკარგავად ამა თუ იმ ვეზირს „საერისთავთ-ერისთაოდ“, მასვე (მოსაკარგავეს), ანიჭებდა ამ მხარეში საბაჟო საქმეების წარმოების უფლებასაც [ბერძენიშვილი ნ., 1974 : 122].

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში, ადგილობრივი მმართველისთვის, ცენტრალური ხელისუფლებისგან, გზაზე ბაჟის აკრეფის ნებართვის გაცემა ხდებოდა მთლიანად ან სანახევროდ. ხდებოდა ასევე საბაჟო პუნქტის სამოურავოდ გაცემაც; ოღონდ, ამ შემთხვევაში, როგორც მაკონტროლებელს, საბაჟოზე ხელი მიუწვდებოდა ცენტრალური

ხელისუფლების წარმომადგენელს – მეჭურჭლეთუხუცესს. [ბერძენიშვილი ნ., 1974 : 122-123]

გამომდინარე ყოველივე აღნიშნულიდან, ასეთ შემთხვევაში, ძალზე საინტერესოდ გამოიყურება ნაკიფარის ეკლესიის ზემოთ ხსენებული წარწერა, რომელშიც განსხვავებით სხვა, ანალოგიური წარწერებისგან ხაზგასმულია – „აზნ(აუ)რთა [ამ(ი)ს]ა ხ(ე)ვ(ი)ს[ა]თა ყ(ოვე)ლთა ე[რ]თ(ო)ბ(ი)თ./“ ტაძრის აგება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ხეობის საერო საქმიანობასაც ეს აზნაურები „ყოველთა ერთობით“ წარმართავდნენ; მათ შორის იფარის თემზე გამავალი სავაჭრო გზის კონტროლსაც.

ჩვენს ამ ვარაუდს, ვფიქრობთ, ადასტურებს იფარის თემის თავში, უშგულისკენ მიმავალ გზაზე, სადარაჯო კოშის არსებობაც. ამ ნაგებობას, დღეს, მოსახლეობაში შემორჩენილი ლამაზი ფოლკლორული თქმულების საფუძველზე, „სიყვარულის კოშკად“ მოიხსენიებენ. არადა, ენგურისპირა დიდ ლოდზე აგებული ეს შენობა, თავის დროზე აქ გამავალ სავაჭრო გზას აკონტროლებდა და საბაჟო პუნქტის ფუნქციას ასრულებდა (იხ. ტაბ. III3-4)

გამომდინარე აქედან, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იფარის თემს, ანუ „აზნ(აუ)რთა [ამ(ი)ს]ა ხ(ე)ვ(ი)ს[ა]თა“, სატრანზიტო გზის ეს მონაკვეთი და საბაჟო „ყ(ოვე)ლთა ე[რ]თ(ო)ბ(ი)თ./“ ჰქონდათ გადაცემული ცენტრალური ხელისუფლებისგან, რაც აქაური მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის ერთერთი დამატებითი წყაროც იყო. სავარაუდებელია ისიც, რომ სწორედ ამ „ერთობილი“ შემოსავლებით მიღებული მოგებით აიგო ნაკიფარის წმინდა გიორგის ეკლესია სალოცველად „აზნ(აუ)რთა [ამ(ი)ს]ა ხ(ე)ვ(ი)ს[ა]თა ყ(ოვე)ლთა ე[რ]თ(ო)ბ(ი)თ./“.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ნაკიფარის ეკლესიაში ინახება ქართული ჭედურის ხელოვნების ერთერთი უშესანიშნავესი ნაწარმოები - ხატი წმინდა გიორგისა.

ექვთიმე თაყაიშვილი ასე აგვიწერს ამ ხატს - „ხატი წ̃ა გიორგისა, ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ძლიერის გამობერვით ნაჭედი, 50 X 40,5 სანტ. მთავარმოწამე წარმოდგენილია ცხენით. ცხენი კარგი ჯიშისაა, მაგრამ მისი

მორთულობა არ არის მდიდარი. თვით წ̃ა გიორგი მდიდრულად მორთულ ჯავშანშია, რომლის ზემოდ მოსასხამი აქვს. ეს მოსასხამი ფართოდ იშლება მის ზურგს უკან ჰაერში. ფეხზე მაღალი წაღები აცვია. თმა ხუჭუჭებად აქვს დაყოფილი. წრე, სიწმინდისა თავის ირგვლივ, გრეხილიანია. მხედარი შუბით გმირავს დიოკლეტიანე მეფეს, რომლის ჩაცმულობა ისეთივეა, როგორც წ̃ა გიორგისა, ხოლო მას მოსასხამი არა აქვს და თავზე ძვირფასი თვლებით შემკობილი გვირგვინი ახურავს არშაკიდთა მეფეების რიგისა. აქვე მიწაზე გაშხვართულ მეფესთან ძევს მისი მრგვალი ფარი და მოგრძო ხმალი, როლელიც ხელიდან გავარდნია. მეფის თავთან წარწერაა; დეოკლეტი/ანე : მეფე: / უშჯულო.

ფართო აშიები გარშემო შემკობილია ბალახოვანი მორთულობით და მრგვალი მედალიონებით წმინდათა. ზემოდ: მ̃აცხოვარი მ̃თავარ ანგელოზებითურთ; ქვემოდ: წ̃ჲ დიმიტრი, წ̃ჲ თ̃ე, წ̃ჲ კ̃ე (კვირიკე); აქეთ-იქეთ წ̃ჲ ბასილი, წ̃ჲ გრიგოლი. ხელობა მედალიონებისა და აშიებისა ვერ არის მანცადამაინც ლამაზი.“[თაყაიშვილი ე., 1991 : 268-270]. ხატი საკმაოდ დეტალურად აქვს აღწერილი ასევე აკად. გ. ჩუბინაშვილსაც თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში – „ქართული ჭედური ხელოვნება“ [Чубинашвили Г.,1959 : 268-270].

როგორც ითქვა, ხატს ამკობს მეტად საინტერესო წარწერა, სადაც დასახელებულია დამკვეთის და შემსრულებლის ვინაობა:

„მოიჭედა ხატი ესე წმინდისა გიორგჲსა იფარისა ჩემგან – მარუშის მიერ, სალოცველად და სახსრად სულისა ჩემისა დღესა მას განკითხვისასა - ჩემითა ოქროითა და ვერცხლითა ჴელითა ასან ოქრომჭდლისაჲთა“ [ახალაშვილი მ., 1987 : 17].

აღნიშნულ წარწერიდან ირკვევა, რომ ხატი დაუკვეთია ვინმე მარუშს, რომელიც, როგორც ჩანს, საკმაოდ გავლენიანი და შეძლებული პირი ყოფილა, რადგანაც ასეთი ძვირფასი (ხატის დამზადება რომ საკმაო სახსარი დამჯდარა, ამას დამკვეთი ტექსტშიც აღნიშნავს) და მაღალმხატვრული ჭედური ხატის შეკვეთა ასანისნაირი დახელოვნებული ოსტატისთვის, მხოლოდ სოციალურად და მატერიალურად გამოჩინებულ იერარქიულ მოხელეს, დიდაზნაურს თუ ხელეწიფებოდა.



თამამად, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ხატი ქართული ოქრომქანდაკებლობის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ნიმუშია. ხატის პლასტიკური მხარე გამოკვეთილი და გამომსახველობითია ისე, როგორც ეს XI საუკუნის ხატებს ახასიათებთ [Чубинашвили Г.,1959 : 268-270]. წმინდანის და დამარცხებული დიოკლეტიანეს გამოსახვის დინამიურობა და ცხოველმყოფელობა ნათელყოფს ოქრომჭედლის უზადო ხელკეთილობას.

ოსტატი უხვად იყენებს ორნამენტულ მორთულობასაც, რაც მის მაღალ პროფესიონალიზმზე მეტყველებს. მას მკვეთრი გრავირებით გამოუსახავს და მდიდარი ორნამენტებით მოურთავს წმინდანის შესამოსელის სახელოებიც, გულისპირის ქობებიც და შარვლის ხილული, თვით უმცირესი მონაკვეთებიც კი; რომ არაფერი ვთქვთ წმ. გიორგის აბჯრისა და მოსასხამის უაღრესად მდიდრულ მორთულობაზე. რაც შეეხება დიოკლეტიანეს, თუნდაც „უშჯულო“ (როგორც იგი ხატზე შესრულებულ წარწერაში - ლეგენდაშია დასახელებული), მაგრამ მაინც მეფის გამოსახვას, ოსტატი აქაც მთელი თავისი ხელკეთილობით წარმოგვიდგება. განგმირული უშჯულო გვირგვინოსნის სამოსი მცენარეული ორნამეტით (ეს ორნამენტი XI ხატების მახასიათებელი ელემენტია [Чубинашвили Г., 1959 : 368]) არის მორთული. გრძივი საკინძე ორპირხაზოვანი გრავირებით არის დამუშავებული. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია დამარცხებული მონარქის ძვირფასი გვირგვინი [თაყაიშვილი ე., 1991 : 270] რომელიც განსაკუთრებული გამომსახველობით გამოირჩევა – გვირგვინზე ჩანს მასში ჩასმული ძვირფასი ქვების ბუდეები და სასაფეთქლე საკიდებიც კი (იხ. ფერადი ტაბულა IV3).

შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ოსტატი იმდენად ზედმიწევნით იცნობს მაშინდელი უმაღლესი იერარქების ჩაცმულობის უმცირეს ნიუანსებსაც კი, რომ იგი უმაღლეს არისტოკრატიულ წრესთან საკმაოდ დაახლოებულ პირად შეგვიძლია ჩავთვალოთ – სამეფო კარის თუ არა რომელიმე დიდი ფეოდალის სახლის მაღალგანსწავლულ ხელოვანად მოვიჩნიოთ.

თავდაპირველად, ნაკიფარის წმინდა გიორგის ეკლესიაში, წმინდა გიორგის სამი ხატი ყოფილა დაცული.

აქედან ორი გ. ჩუბინაშვილს ერთი ოსტატის, ასან გვაზავაისძის, შესრულებულად მიაჩნია. მარუშის დაკვეთით დამზადებულ ხატს, მეცნიერი, აღნიშნული ოსტატის უფრო გვიან ნამუშევრად თვლის, პირველ რიგში, მისი შესრულების უფრო დახვეწილი ტქნიკისა გამო და მეორეც, ხატზე აღნიშული საოსტატო წარწერისა (ლეგენდა) გამო. მეცნიერის აზრით, მარუშის დაკვეთილ ხატზე, ოსტატი მხოლოდ საკუთარ სახელს – ასანს ტოვებს, ისე, რომ აუცილებელ საჭიროებად აღარ მიაჩნია მამისეული ოჯახიშვილობის (გვაზავაისძე) აღნიშვნა; რამდენადაც ის უკვე საკმაოდ სახელგანთქმულია და ცნობილი ოსტატია [Чубинашвили Г., 1959 : 367].

აღწერდა რა ამ ხატებს, სრულიად სხვაგვარად ფიქრობდა ექვთიმე თაყაიშვილი; იგი ნაკიფარის ეკლესიაში დაცულ წმინდა გიორგის იმ ორ ხატს, რომლებმაც შემოგვინახეს შემსრულებელთა ვინაობა – ასანი, სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა ავტორთა (მხოლოდ თანამოსახელეთა) შესრულებულად მიიჩნევდა. ექვთიმე თაყაიშვილი, წმინდა გიორგის ხატს (არა მარუშის შევეთით ამზადებულს) რომლის დაზიანებულ ლეგენდასაც (ტაბ. IV1) გ. ჩუბინაშვილი ასე კითხულობს – „მოიჭდა:ჴელითა:ასნ:გვზვძით“ – „მოიჭედა ჴელითა ასან გვაზავაისძითა(?) “, სრულიად სხვაგვარად კითხულობს – „მოიჭედა: ჴელითა:ასნ:გელოსით[ა]“ ე.ი. „მოჭედა ხელითა ასან გელოვანისითა“; და იქვე აღნიშავს – „რასაკვირველია, ეს ის ასანი არ არის, რომელიც წინა ხატის წარწერაში (მარუშის შეკვეთით დამზადებული - პ.ბ.) იხსენიება, მაგრამ უეჭველია, ეს ხატი წინა ხატის (მარუშის დაკვეთილი -პ.ბ.) მიბაძვით არის გაჭედილი“ [თაყაიშვილი ე., 1991 : 270-271].

მაშასადამე, ექვთიმე თაყაიშვილი ამ ხატებს სხვადასხვა ოსტატების ნახელავად მიიჩნევს და გამორიცხავს მარუშის დაკვეთით მოჭედილი ხატის წარწერაში ნახსენები ოსტატ ასანის და მეორე ხატის მომჭედავი ასანის იგივეობას; თანაც ხაზგასმით აღნიშნავს ამ ორ ჭედურ ხატს შორის მხატვრული დონისა და შესრულების მანერის სხვადასხვაობას. მას მარუშის დაკვეთილი ხატი ქრონოლოგიურად გაცილებით ადრეულად მიაჩნია ვიდრე მეორე, ასან „გელოვანის“ (ექვთიმე თაყაიშვილისული წაკითხვით - პ.ბ.) მოჭედილი ხატი. ამას თან ერთვის კომპოზიციური სხვადასხვაობაც - მარუშის დაკვეთით მოჭედილ ხატზე წმინდა გიორგი მიმართულია მარჯვნიდან მარცხნივ, ხოლო მეორე შემთხვევაში - მარცხნიდან მარჯვნივ. ჩვენ ესეც არსებითი სახის განსხვავებად მიგვაჩნია.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ამჟამად ნაკიფარის ეკლესიაში დაცულ ხატს შემოუნახავს თავად დამკვეთის - მარუშის ვინაობაც. უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ნაკიფარის წმ. გიორგის ხატის წარწერისა, ჩვენამდე არ არის მოღწეული სხვა არავითარი წყარო სვანეთში მოღვაწე დიდებულის, მარუშის შესახებ; მაგრამ, კვლავ ვიმეორებთ, რომ ეს

პიროვნება, როგორც ეს ნაკიფარის წმინდა გიორგის ხატზე არსებული წარწერის მიხედვით ირკვევა, იმ დროისთვის, საკმაოდ მაღალი წოდების და მატერიალური შესაძლებლობის მქონე პერსონა ყოფილა.

სამაგიეროდ, იმ ხანებისათვის საკმაოდ ცნობილი გახლდათ მარუშიანთა გვარი (როგორც მარუშიანი, ისე მარუშისძე ნაწარმოებია კაცის სახელისაგან – მარუში), რომელიც X-XI საუკუნეების დასავლეთ საქართველოს წარჩინებულ ფეოდალური საგვარეულოთა რიცხვს განეკუთვნებოდა. მოგვიანებით, როგორც ამას აღნიშნავს ნ. შოშიაშვილი, მარუშიანთა საგვარეულოდან წარმოიქმნა დასავლეთ საქართველოს დიდი საგვარეულოები: ვარდანისძენი და დადიანები [შოშიაშვილი ნ., 1983 : 463]. ნ. შოშიაშვილი ვარაუდობს, რომ ამ საგვარეულოს ეკუთვნოდა ქართლის ერისთავი 970-იან წლებში ივანე (იოვანე) მარუშისძეც. ასევე, გამოთქმულია მოსაზრება [მამალაძე გ., 2011], რომ იოვანე მარუშისძის შვილი გახლდათ სპასალარი ზვიად მარუშიანი – დასავლეთ საქართველოს დიდი ფეოდალი, X—XI საუკუნეების მიჯნაზე, ბაგრატ III-ის მოხელე, რომელმაც 1014 წ-ს ფანასკერტიდან (ტაო) ბედიაში გადაასვენა ბაგრატ III-ის ცხედარი. ეს ზვიად მარუშიანი სარდლობდა ქართველთა მეწინავე ლაშქარს 1020-იან წლებშიც, ბიზანტიასთან ომის დროს. ცნობილია ისიც, რომ გიორგი I-მა, დროის მოგების მიზნით, მასვე დაავალა თავად ბასილი კეისართან საზავო მოლაპარაკების გამართვა, რომელიც ამ დროისთვის ტაო-კლარჯეთში შემოიჭრა ბიზანტიელთა დიდძალი ლაშქრით [მატიანე ქართლისა : 287]. ზვიად ერისთავი მოხსენებულია ზარზმის ხატის განმაახლებლის წარწერაში, რომელსაც გ. ჩუბინაშვილი XI საუკუნით ათარიღებს [Чубинашвили Г., 1959]. მეწინავე ლაშქრის სარდლობა (მეწინავეობა მესხებს ჰქონდათ საქართველოს ლაშქარში) და ზარზმის ხატის წარწერაში მოხსენიება, მკვლევარს საფუძველს აძლევს ივარაუდოს, რომ მარუშიანი იყო სამცხის ერისთავიც.

როგორც ცნობილია, ქართველთა (და ზოგადად კავკასიელთა) ეთნოგრაფიულ ყოფაში, დღემდეა შემორჩენილი ტრადიცია, რომლის მიხედვითაც, ხშირად, ამა თუ იმ პიროვნების (განსაკუთრებით ვაჟის, გვარის გამგრძელებლის) სახელდება მისი პტრონიმიული სახელის მიხედვით

ხდება. გამომდინარე აქედან, ჰიპოთეთურად, მაგრამ მაინც დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ეს მარუში ყოფილიყო აფხაზთა და ქართველთა სამეფოში იმ პერიოდისთვის საკმაოდ ცნობილი და დაწინაურებული მარუშიანთა სახლის რომელიმე წარმომადგენელელი; სახლისა, რომელიც საგანმგებლოსაკარგავად ფლობდა ტაო-კლარჯეთსა და ჯავახეთის.

ასევე, თუ გავითვალისწინებთ X-XI საუკუნეებში ბიზანტია-საქართვალოს შორის არსებულ მტრობასა და დაძაბულ ვითარებას, რასაც შედეგად მოჰყვა ბიზანტიელთა მიერ მარუშიანთა საგანმგებლო მხარეების დაპყრობა, სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია, რომ გიორგი I ან მისმა მემკვიდრემ ბაგრატ IV მარუშიანთა სახლის წარმომადგენლებს საკარგავად უბოძეს დას. საქართველოს მთიანეთი. ანუ, აფხაზთა და ქართველთა ერთიანი სამეფოს სამხრეთი კარიბჭის (სადაც ჩადიოდა კავკასიონზე გადმომავალი სატრანზიტო გზა) ბიზანტიელთაგან მორღვევის შემდეგ, მარუშიანთა სახლს გადაეცა სამეფოს ჩრდილო მხარე, კერძოდ კი სვანეთი სადაც, მარუშს და მის „სახლს“ – „აზნ(აუ)რთა [ამ(ი)ს]ა ხ(ე)ვ(ი) ს[ა]თა“, ჩააბარეს ტრანსკავკასიური სავაჭრო სატრანზიტო გზის (საიდანაც სამფოს ტერიტორიზე შემოდიოდა ბიზანტიისკენ მიმავალი ტვირთები) სარფიანი მონაკვეთი; საბაჟო საქმის განკარგვის პირობით.

სავარაუდოდ, ამ სახლისშვილი უნდა ყოფილიყო ის ვარდან სვანთა ერისთავიც, რომლის სახეც, ამირსპასალარის რანგში, შემოგვინახა ლატალის მაცხოვრის ეკლესიის მხატვრობამ. ალბათ, შემდგომში, ამ პიროვნებამ დაუდო საფუძველი ვარდანისძეთა გვარს, რომლის წარმომადგენლებიც მოგვიანო პერიოდებში გვევლინებიან კიდეც სვანთა ერისთავებად.

სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია ისიც, რომ ამ დიდაზნაურს, საკუთარი, ბიზანტიელთაგან იავარქმნილი ტაოკლარჯეთის მამულიდან, ახალ საგამგებლოში თან წარეტანა ოქრომჭედელი ასანი, რომელსაც დაუკვეთა კიდეც ნაკიფარის ეკლესიისთვის (შესაძლოა მისსავე ინიციატივით აგებულის) უკვე ზემოთ აღწერილი, თავისი ხასიათით უნიკალური სიუჟეტის ხატი. საფიქრალია ისიც, რომ ასანის გაჭედილი ხატი გამხდარიყო ერთგვარი მაპროვოცირებელი, ჯერ კიდევ

მარტვილის ტაძრის რელიეფებზე დაფიქსირებულ იკონოგრაფიული მოტივის ახალი ტალღისა; მოტივისა, სადაც წმიანდა გიორგი კლავს „უსჯულო“ მეფე დიოკლეტიანეს. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ეს მოტივი განსაკუთებით პოპულარულია X-XI ს.ს-ების ქართულ იკონოგრაფიაში. ამ პერიოდის ხატებზე, წმინდა მხედრი, საკუთარ მტანჯველს, საიმპერიო გვირგვინოსან და სამეფო შესამოსელიში გამოწყობილი დიოკლეტიანეს, შუბით ლახვრავს და ცხენის ფლოქვებით თელავს; ალეგორიულად კი ბიზანტიის იმპერატორს, რომლის მახვილითაც ტაო-კლარჯეთს „მოისრნეს ურიცხუნი მისითა მახვილისათა და რომელნიმე ტყუე იქმნნეს. და წარიღეს ავარი დიძალი და განძი სამეფო“ [მატიანე ქართლისა : 288]. სიუჟეტის ამდაგვარ ალეგორიულობას გვაფიქრებინებს წარწერაც დამარცხებული დიოკლეტიანეს თავთან - „დიოკლეტიანე მეფე უსჯულო“; რითაც ასან ოქრომჭედელი იძლევა განმარტებას დალახვრული იმპერატორისა, რათა მავანმა, სათანადოდ შემოსილ-დაგვირგვინებული პირი, საკუთარ წარმოსახვაში, არ გააიგივოს „ერთმორწმუნე“ ქრისტიანული ბიზანტიის ხელისუფალთან.

იმაზე, რომ მარუშის შეკვეთით, ოქრომჭედელ ასანის მიერ გაჭედილ ხატზე, წმინდა გიორგის მიერ შუბით განგმირულ დიოკლეტიანეში ალეგორიულად ბიზანტიის იმპერატორი იგულისხმება, ჩვენის აზრით, კიდევ ერთი გარემოებაც მეტყველებს - ეს გახლავთ დალახვრული მეფის სამოსის ორნამეტი (იხ. ფერადი ტაბულა IV 4-5).

აღნიშნული ორნამენტი თითქმის ზედმიწევნით იმეორებს XI საუკუნის ბიზანტიური სამეფო ქლამინდის ქსოვილის ორნამენტს. ამდაგვარი ორნამენტის სახიანი ქსოვილის საკმაოდ მოზრდილი ნიმუში დღემდე შემორჩენილია ქვემო სვანეთში, სოფ. საყდარში. აქ ინახება წმინდა გიორგის XI -XII საუკუნის ფერწერული ხატი, რომლის ზურგზეც გადაკრულია ეს ქსოვილი. ხატის დღევანდელი ზომებია 90 X 63 სმ. მისი სიმაღლე, თავდაპირველად, სავარაუდოდ სულ მცირე 50 სანტიმეტრით მეტი მაინც უნდა ყოფილიყო, რადგანაც იგი ჩვენამდე დაზიანებული სახითაა მოღწეული

– მუხლებსქვემოთ მომტვრეულია. მასზე წმინდანი „მთელი ტანით ყოფილა გამოსახული, შუბით მარჯვენა ხელში; მარცხენა ფარზე ჰქონებია დაყრდნობილი“ [თაყაიშვილი ე., 1991 : 112]. ექვთიმე თაყაიშვილს თავის დროზე ხატზე წარწერაც ამოუკითხავს, რომლის კვალიც დღეს სავსებით გამქრალია.

ეს ხატი, ჯერ კიდევ 1980 წელს, (იხ. ფერადი ტაბულა IV 1-2) ეკლესიაში დაცულ სხვა ნივთებთან, ერთად აღიწერა ჩვენი ექსპედიციის წევრების მიერ. მოგვიანებით, 2011 წ-ს, საგანგებოდ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხლშეწყობით მოეწყო ექსპედიცია ამ ხატის მდგომარეობის შესასწავლად. ამჯერად დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა რათა ეს ხატი ახლოდან მაინც დაგვეთვალიერებინა; დიდი თხოვნების შემდეგ დაგვრთეს ნება გადაგვეღო რამდენიმე ფოტოც. აღმოჩნდა, რომ 1991 წელს ხატი აღუდგენია მხატვარ თემო ჯაფარიძეს, თუმცა, ჩვენი აზრით, იგი სასწრაფოდ საჭიროებს მაღალკვალიფიციურ რესტავრატორთა ყურადღებას. შევძელით ქსოვილის ბოჭკოს ნიმუშების აღებაც ანალიზებისთვის, რის შედეგადაც დადასტურტა ხატის ზურგზე გადაკრული ქსოვილის ბიზანტიური წარმომავლობა და იგი XI საუკუნით განისაზღვრა. სავარაუდოდ, ეს სამეფო, სახელისუფლებო პირთათვის განკუთვნილი ქსოვილის ნაჭერი უნდა იყოს [Falke O., 1951]. სახისმეტყველბითი კუთხით, შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული ხატი, ერთგვარად, სამეფო შესამოსლით, სამეფო ქსოვილით არის შემოსილი. ცნობილია, რომ ძვირფასი სახიანი აბრეშუმის სქელი ქსოვილის სამეფო ქლამინდი განსაკუთრებული ფუფუნებით გამოირჩეოდა. ბიზანტიური ქსოვილის გავრცელებული ორნამენტი იყო გეომეტრიულ ფიგურებში (წრე, რომბი, კვადრატი) ჩასმული ზოომორფული ან მცენარეული მოტივები (სუროს ფოთოლი, შროშანისებრი ყვავილი, პალმეტი) [მაჩაბელი კ., 2013 : 133-134].

ცნობილია ისიც, რომ იმპერატორი განსაკუთრებული დამსახურებისათვის და კეთილგანწყობის ნიშნად ბიზანტიელ და უცხოელ დიდებულებს ოფიციალურ ტიტუტლთან ერთად სახელისუფლებო ინსიგნიებსა და ძვირფას სამოხელეო ტანსაცმელს უბოძებდა ხოლმე[მაჩაბელი კ., 2013 : 133-134]. წყაროებიდან ირკვევა, რომ ბიზანტიის მმართველმა რომანოზმა (ბასილი II მემკვიდრე) მელქისედეკ კათალიკოზს

ძღვნად სხვა ნივთებთან ერთად გამოუგზავნა – „... შესამოსელი სამღდუელთმოძღვრიო ოქსინო, უღლითა ანაფორითა, ხატოვანითა, ოქროვანითა და ყოველივე სრული“.

ანუ ბიზანტია, ერთის მხრივ, სასტიკად ებრძოდა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახლმწიფოს გამოსვლას წინა აზიის პოლიტიკურ არენაზე; მორეს მხრივ კი თავის „წყალობას“ არ აკლებდა „ერთმორწმუნეებს“...

ჩვენის აზრით, სოფელ საყდარში დაცული წმინდა გიორგის ხატის ზურგზე შემორჩენილი ბიზანტიური ქსოვილის და ნაკიფარის წმინდა გიორგის ხატზე გამოსახული დალახვრული იმპერატორის სამოსზე ერთი და იგივე ხასიათის ორნამენტის გამოყენება, აღნიშნული ორნამენტის გარკვეულ ტრადიციულობასა და მნიშვნელობაზე უნდა მიგვანიშნებდეს. ეს კი, ალბათ, ამ პერიოდის ქართულ იკონოგრაფიაში გავცელებული ხსენებული სიუჟეტის ალეგორიულობის კიდევ ერთ არგუმეტად უნდა მივიჩნიოთ.

ყველაზე საგულისხმოა ისიც, რომ ბიზანტიის იმპერატორის, როგორც იერარქიულად აღმატებული ქრისტიანი მმართველის დამცრობილად და განადგურებულად ალეგორიული ასახვა წმინდა გიორგის ხატებზე, ამ შემთხვევა ნაკიფარის წმინდა გიორგის ხატზე, მიიღო და გაითავისა ქართულმა ეკლესიამაც. ეს ყოველივე, იმ პერიოდში, ქართულ სახელმწიფოში, საერთო სახელმწიფო პოლიტიკური ინტერესების თაობაზე „ერისა“ და „ბერის“ ერთიან დამოკიდებულებაზე უნდა მიგვანიშნებდეს; ანუ სახისმტყველებითი იკონოგრაფიული მოდელი, რომლის მიხედვითაც „ერთმორწმუნე“ მტერი, ანუ ბიზანტიის იმპერატორი მთელი თავისი სახლისუფლებო ინსიგნიებით (გვირგვინი, ფარი, მახვილი, წაღები) მარცხდება და ნადგურდება წმინდა მხედრის მიერ, მიიღო ქართულმა ეკლესიამაც და ქართული სახელმწიფოს მთელმა მოსახლეობამ.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი რამ - ამ სიუჟეტის ხატები, ძირითადად, დას. საქართველოს მთიანეთის რეგიონებიდან - სვანეთიდან და მთიანი რაჭიდან მომდინარეობენ [იხ.Чубинашвили Г., 1959]. ეს მხარეები კი იმ პერიოდისათვის, მასზე გამავალი სატრანზიტო სავაჭრო გზის ეკონომიკური სპეციფიკიდან გამოდინარე, ერთ ადმინისტრაციულ ერთეულად მოიაზრებოდა.

დასასრულ, კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ სავსებით მისაღებად მიგვაჩნია აკად. გიორგი ჩუბინაშვილის ვარაუდი, რომლის მიხედვითაც ქართულ იკონოგრაფიაში გავრცელებული თემა – წინდა გიორგის მიერ გვირგვინოსანი ბიზანტიის იმპერატორის მოკვლა, გამოძახილი უნდა იყოს კონკრეტული პოლიტიკური ვითარებისა, რომელსაც საქართველოს ისტორიაში ადგილი ჰქონდა X-XI საუკუნეების მიჯნაზე. იმ პერიოდის ქართველი ოქრომჭედლები ასე გამოსახავდნენ ანტიბიზანტიურ განწყობას. ქართველთა მწვავე დაპირისპირება „ერთმორწმუნე“ მტრულ ძალასთან, ქართულ იკონოგრაფიაში სწორედაც ზემოთაღწერილი სიუჟეტის სახით აისახა. კერძოდ კი, ნაკიფარის წმ. გიორგის ხატზე „უშჯულო მეფის“, დიოკლეტიანეს სახით, ალეგორიულად, გამოსახული უნდა იყოს ქართული სახელმწიფოებრიობისადმი დაპირისპირებული ბიზანტიის იმპერატორი (შესაძლოა სახელდობრ ბასილი II კი).

მოგვიანო ხანებში ამ ერთგვარმა „პოლიტიკურმა პლაკატმა“ საკმაო გავრცელება ჰპოვა ქართულ იკონოგრაფიაში, სადაც „უშჯულო მეფე დიოკლეტიანემ“ ზოგადად, ბოროტი ძალის გამომსახველობითი სახე შეიძინა. შემდგომში, განსაკუთრებით პოლიტიკური არენიდან ბიზანტიის იმპერიის გაქრობის შემდეგ, ამ მოტივს, ზოგადად ქრისტიანულ იკონოგრაფიაში გავრცელებული მოტივი - გველეშაპის მოკვლა ჩაენაცვლა.

დასასრულ, აღნიშნულთან დაკავშირებით, გვინდა მოვიყვანოთ ზვიად გამსახურდიას სიტყვები - „ბოროტი ძალების მოკვლის მოტივი ყველა ეპოქებისა და ხალხების მითოლოგიებისათვისაა დამახასიათებელი; ხოლო მზიური ღვთაებები და გმირები განასახიერებენ სიმართლის, სიკეთის და სიყვარულის მადლს; ისინი, სიცოცხლის დამამკვიდრებელნი და სიკვდილის დამთრგუნველნი არიან, კაცობრიობის მხსნელი ბნელი ძალბისაგან. მათი ქრისტიანული სახეა წმინდა გიორგი“ [გამსახურდია ზ., 1991 : 164].

*
* *

მახსენდება ერთი ეპიზოდი – ჩვენი სტუდენტობის პერიოდში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა მეორად პროფესიათა ფაკულტეტი, სადაც სტუდენტებს საშუალება გვქონდა შიდა გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ ჩავრიცხულიყავით და მეორე, დამატებითი სპეციალობაც მიგვეღო. 1979 წლის შემოდგომაზე, შევიტანე საბუთები აღნიშნულ ფაკულტეტზე ჩასარიცხად დოკუმენტური კინოს რეჟისურის სპეციალობაზე. გასაუბრებასთან ერთად, უნდა ჩაგვებარებიანა წერითი გამოცდაც – უნდა დაგვეწერა მცირე სასცენარო ჩანახატი იქვე, იმპროვიზირებულად შემოთავაზებულ თემაზე. საგამაცდო კომისიის თავმჯდომარემ, ცნობილმა სცენარისტმა ერლომ ახვლედიანმა შემოგვთავაზა თემა – „მტერი“.

ახლა, მთლიანობაში ნამდვილად არ მახსოვს რა დავწერე (შავი ნაწერიც გამოცდაზე რჩებოდა), თუმცა ძირითადად ვწერდი, რომ მტერი მრავალსახოვანი ბოროტებაა – მრავალთავიანი გველშაპივით; რომელსაც ერთსახოვანი, გამოკვეთილი, ყველასთვის საცნაური სიკეთე – სიყვარული ამარცხებს.

„წმინდაო გიორგი, დიდების მხედარო,
ვუმზერ შენს ხატებას და სული მხნედ არი!
შემუსრე უწმინდურ დრაკონთა ორგია,
იხსენი სამკვიდრო შენი გეორგია.
დიდების უფალი მართალთა მწედ არი.
წმინდაო რაინდო, გველი არ დაინდო;
მოგვმადლე იმედი და უფლის სვე-დარი!“

ზვიადი

გამოყენებული წყაროები

1. მატიანე ქართლისა - მატიანე ქართლისა / ქართლის ცხოვრება I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, სახელგამი, 1955 გვ.249-317.
2. ვახუშტი 1973 - ბატონიშვილი ვხუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1973 -1102 გვ..
3. სუმბატ დავითის ძე - სუმბატ დავითის ძე, ცხორება და უწყება ბაგრატონიანთა, /ქართლის ცხოვრება ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955 გვ. 372-389.
4. ლასტივერტეცი ა., - არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა. თბილისი, 1974.
5. Пселл М. - Михаил Пселл, Хронография, Перевод статья и примечания Я.Н. Любаского, Изд. Наука, Москва 1978 -313 стр.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა:

6. ახალაშვილი მ., 1987. - მ. ახალაშვილი, X-XV სს. წარწერები სვანეთის ჭედური ხელოვნების ძეგლებზე, [რედ.: ვ. სილოგავა], მეცნიერება, თბ. 1987
7. ბარდაველიძე ვ., 1952 - ვ. ბარდაველიძე, ხევსურული თემი, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, XIII - 8. თბ. 1952
8. ბარნაველი ს., 1979 - ს. ბარნაველი, ქართველი მეომარი ღვთაების იკონოგრაფიისათვის, ძეგლის მეგობარი N51, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1979 ჰტტპ://წწწ.დზეგლები.გე/სტატიები/ხელოვნება/ქართული–მეომარი.ჰტმლ
9. ბეზარაშვილი ც., 1979 - ც. ბეზარაშვილი, სვანი ქალის სამოსი, სვანეთი II, თბ. 1979

10. გამსახურდია ზ., 1991 - ზ. გამსახურდია, ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, გამ. „მეცნიერება“, თბ. 1991
11. გვრიტიშვილი დ., 1952. - დ. გვრიტიშვილი, თბილისის ისტორია, საბლიტგამი, თბ. 1952.
12. გელოვანი აკ., 1983 - აკ. გელოვანი — მითოლოგიური ლექსიკონი, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, თბ. 1983
13. გოილაძე, ვახტანგ. 1997. - ვ. გოილაძე, აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზა და საქართველო. თბილისი: ცოდნის წყარო. თბ. 1997
14. გუჩუა ვ., 1977 - ვ. გუჩუა, ბაგრატ IV, ქსე, ტ. 2, გვ. 128-129, თბ., 1977
15. თაყაიშვილი ე., 1991 - ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ - სვანეთში 1910 წელს, დაბრუნება, მრავალტომეული გ. შარაძის საერთო რედაქციით, ტ. 2, მეცნიერება, თბ. 1991
16. გაბაშვილი ვ., 1968 - ვ. გაბაშვილი, საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI-XIII სს.)/ კრებ. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ. 1968
17. დილი შ., 1998 - შარლ დილი, ბიზანტიის იმპერიის ისტორია, თარგმ. ბაჩანა ბრეგვაძისა, ნეკერი, თბ. 1998
18. თევდორაძე გ., 1930 - გ. თევდორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, წიგნი I, ტფილისი, 1930
19. კეცხოველი მ., 1969 - მ. კეცხოველი, ფეოდალური ხანის მხატვრული ქსოვილები, ძეგლის მეგობარი, N 17, თბ. 1969
20. კეკეკლიძე კ., 1980 - კ. კეკეკლიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1.გამ. „მეცნიერება“ თბ. 1980
21. კოპალიანი ვ., 1969 - ვ. კოპალიანი, საქართველოს და ბიზანტიის პოლიტიკური ურთირთობა 970-1070-იან წლებში, თბ. 1969
22. ლორთქიფანიძე მ., პაპასკირი ზ., 1998 - მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი, საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XI საუკუნეში/ ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, I, თბ. 1998;
23. ლორთქიფანიძე მ., 1979 - მ. ლორთქიფანიძე, მონარქიის საგარეო პოლიტიკა (X ს. დას. – XI ს. 60-იან წლებში)/ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, მეცნიერება. თბ. 1979;

24. მაკალათია ს., 1930 - ს. მაკალათია, მთიულეთი, სახელგამი. თბ. 1930
25. მაკალათია მ., 1977 - მ. მაკალათია, წარმართული ხასიათის ზოგიერთი ძეგლი სვანეთში. სვანეთი I. მეცნიერება, თბ. 1977
26. მამალაძე გ., 2011 - გ. მამამლაძე, ეროვნული იდეოლოგიის ჰორიზონტალური და ვერტიკალური პოსტულატები, ჰტტპ://იბერიანა.წორდპრესს.ცომ/იბერიანა/მამალადზე/
27. მაჩაბელი კ., 2013 - კ. მაჩაბელი, ქართული ისტორიული კოსტუმი (V-X საუკუნეები), თბ. 2013
28. მეტრეველი რ., 1968 - რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, თბ. 1968
29. მელიქსეთ-ბეგი ლ., 1941 - ლ. მელიქსეთ-ბეგი, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941
30. მესხია შ., 1982 - შ. მესხია, საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობის ისტორიიდან („საკარგავის“ მნიშვნელობისათვის), საისტორიო ძიებანი, ტ. 1, თბ., 1982
31. სილოგავა ვ., 1977 - ვ. სილოგავა, ქტიტორთა ფრესკული წარწერები ზემო სვანეთში, სვანეთი I (მასალები მატერიალური და სულიერი კულტურის შესწავლისათვის), მეცნიერება, თბ. 1977
32. სურგულაძე ი., 1975 - ი. სურგულაძე, ამირსპასალარი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 1, თბ. 1975
33. ჯავახიშვილი ივ., 1979 - ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზულებნი 12 ტომად, თსუ გამომცემლობა, ტ. I, თბ. 1979
34. ჯავახიშვილი ივ., 1983 - ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზულებნი 12 ტომად, თსუ გამომცემლობა, ტ. II. მეცნიერება, თბ. 1983
35. Аладашвили Н., 1977 – Н.А. Аладашвили, Монументльная скульптура Грузии. Искусство. М. 1977
36. Анчабадзе З., 1959 - Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.), Сух. 1959;
37. Чубинашвили Г., 1959 - Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, “Сабчота сакартвело~, Тб. 1959
38. Tuite K., Bukhrashvili P., 1999 - K. Tuite, P. Buxrasvili: Binaritдt und Komplimentaritдt in Nordostgeorgien. Georgica 22. Universitдtverlag Konstanz 1999

39. Sarre F., 1923 - Fr. Sarre, Die Kunst des alten Persien, B. Cassirer, Berlin.1923
40. Спирова П., 2009 - Спирова П, Св. великомученик Георгий – малоизвестные факты, Двери на Православието, 2009 http://ru.pravoslavie.bg/св-георгий/
41. Heryfeld, E. 1920 - E. Heryfeld, Am Tor von Asien, Berlin: 1920. https://archive.org/stream/AmTorVonAsien1920/Herzfeld1920AmTorVonAsienFelsdenkmaleAusIransHeldenzeit#page/n229/mode/2up
42. Дашков С., 1997 - Дашков С. Б. «Императоры Византии». — Москва: Издательский дом «Красная площадь», 1997. — ISBN 5-87305-002-3 - http://www.sedmitza.ru/text/434496.html
43. Котович В., 1980 - Котович, В. Г. О Процесе урбанизации в древном Дагестане. Древние и средневековие археологические памятники Дагестана. Махачкала 1980
44. Роземн В., 1883 - Роземн В. Р., Император Василий Болгарский, Прил. к XLIV т. ,Записок Имп. Академии Наук, 1883
45. Falke O., 1951 - Otto von Falke, Kunstgeschichte der Seidenweberei, Berlin 1921; 4. Aufl., Tübingen 1951
46. Teichmann F., 1986 - Frank Teischmann., Der Gral im Osten, Motive aus der Geistgeschichte Armeniens und Georgiens, Verlag Freies Geistesleben, Suuttgart, 1986
47. Bénazeth D., 1997 - Bénazeth D., “La sculpture copte~, Dossiers d’archéologie 226, sept 1997, p. 28 et ill. p. 29. http://www.louvre.fr/en/oeuvre-notices/horus-horseback

Prof. Paata Bukhrashvili

Saint George the great Knight
(Summary)

A distinctive Georgian Christianity, incorporating national ideology as well as religion, developed and spread in medieval Georgia. At this time, according to some, religious and national ideals were not separable (Z. Gamsakhurdia).

One prominent feature of Georgian Christianity is the cult of the warrior saint, in particular, that of St. George, which emerged in the official Georgian Orthodox Church in the 9th century (K. Kekelidze), and which some specialists have linked to the consolidation of the feudal monarchical order and its promotion of an idealized notion of the warrior.

The evolution of this cult found expression in the Georgian art of the period. In this respect, we wish to draw attention to a specific motif in medieval Georgian iconography: the representation of St. George driving his spear through the Roman emperor Diocletian. This motif is distinctive to Georgia (G. Chubinashvili), and appears in 11th and 12th-century icons of St. George. The figure of Diocletian, dressed in a cape and wearing an imperial crown, is shown at the feet of a mounted St. George, being pierced by the warrior's lance.

As is well known, in the first third of the 11th century conflicts emerged between Georgia and the Byzantine Empire, whose expansionist ambitions led it to seek sovereignty over Georgia. Byzantium sought to impeded the unification and strengthening of Georgia, as well as gain control of its border regions.

Tensions led to armed conflict, culminating in the campaign of Emperor Basil II (known as the Bulgar-Slayer) and the Battle of Shirimni of 1021. The defeated Georgian king Giorgi I was forced to agree to onerous terms of peace. Conflict with the Byzantines continued during the reign of Giorgi's son Bagrat IV. The young king's opposition with their Byzantine coreligionists drew the support of the Georgian Orthodox Church, as manifested in the campaign of the bishop Saba of Tbeti against the Byzantine forces.

It is entirely likely that the bitter conflict of the Georgian state against the fellow-Orthodox Byzantines found expression in Georgian iconography.

Prof. Paata Buchraschwili

Der Heilige Georg der große Ritter
(Zusammenfassung)

Eine besondere Eigenschaft des georgischen Christentums unter Einbeziehung nationaler Ideologie und Religion, entwickelte und verbreitete sich im mittelalterlichen Georgien. Einigen Quellen/ Autoren zufolge, waren zu dieser Zeit, religiöse und nationale Ideale nicht trennbar (Z. Gamsachurdia).

Ein hervorstechendes Merkmal des georgischen Christentums ist der Kult des Heiligen Kriegers, insbesondere, der des heiligen Georg, welcher in der offiziellen georgisch - orthodoxen Kirche im 9. Jahrhundert (K. Kekelidse) entstand, und den einige Spezialisten mit der Konsolidierung der feudalen Monarchischen Ordnung und der darin enthaltenen Förderung einer idealisierten Vorstellung des Kriegers in Verbindung brachten.

Die Entwicklung dieses Kultes fand ihren Ausdruck in der georgischen Kunst dieser Epoche. In diesem Zusammenhang möchten wir die Aufmerksamkeit auf ein bestimmtes Motiv in der mittelalterlichen georgischen Ikonographie lenken: die Darstellung des heiligen Georg der seinen Speer durch den Körper des römischen Kaiser Diokletian treibt. Dieses Motiv ist charakteristisch für Georgien (G. Chubinashvili) und erscheint in Ikongraphien von St. George aus dem 11. und 12. Jahrhundert . Die Figur des Diokletian, in einen Umhang gekleidet und eine Kaiserkrone tragend, wird von einer Lanze durchbohrt am Fuße des St. George/Heiligen Georg liegend, dargestellt.

Wie gemeinhin bekannt ist, entwickelten sich im ersten Drittel des 11. Jahrhunderts Konflikte zwischen Georgien und dem Byzantinischen Reich, dessen Expansionsbestrebungen darauf abzielten die Souveränität über Georgien zu erlagen Byzanz versucht die Einigung und Stärkung Georgiens zu verhindern, sowie Kontrolle über dessen Grenzgebiete zu erlangen.

Die Spannungen führten zu bewaffneten Konflikten, die ihren

Höhepunkt in der Kampagne von Kaiser Basileios II. (bekannt als Bulgar-Slayer) und der Schlacht von Shirimni von 1021 hatten. Der besiegte georgischen König Giorgi I war gezwungen, sich auf belastende Friedensbedingungen einzulassen. Die Konflikt mit den Byzantinern setzte sich während der Regierungszeit von Giorgi's Sohn Bagrat IV fort. Der Widerstand des junge Königs gegenüber seinen byzantinischen Glaubensgenossen zog die Unterstützung der Georgischen Orthodoxen Kirche nach sich, was sich in der Kampagne des Bischofs von Saba Tbeti gegen die byzantinischen Streitkräfte manifestierte.

Es ist sehr wahrscheinlich, dass die bitteren Konflikte des georgischen Staates gegen die orthodoxen Glaubensbrüder/Byzantiner Ausdruck in der georgischen Ikonographie gefunden hat.

Die Spannungen führten zu bewaffneten Konflikten, die ihren Höhepunkt in der Kampagne von Kaiser Basileios II. (bekannt als Bulgar-Slayer) und der Schlacht von Shirimni von 1021 hatten. Der besiegte georgischen König Giorgi I war gezwungen, sich auf belastende Friedensbedingungen einzulassen. Die Konflikt mit den Byzantinern setzte sich während der Regierungszeit von Giorgi's Sohn Bagrat IV fort. Der Widerstand des junge Königs gegenüber seinen byzantinischen Glaubensgenossen zog die Unterstützung der Georgischen Orthodoxen Kirche nach sich, was sich in der Kampagne des Bischofs von Saba Tbeti gegen die byzantinischen Streitkräfte manifestierte.

Es ist sehr wahrscheinlich, dass die bitteren Konflikte des georgischen Staates gegen die orthodoxen Glaubensbrüder/Byzantiner Ausdruck in der georgischen Ikonographie gefunden hat.

ტაბულების აღწერილობა

ტაბულა I

1. მიხეილ ჩართოლანი. სვანეთის კომპლექსური ექსპედიციის ხელმძღვანელი (სკალდი. 1981 წ.)
2. მ. ხიზანიშვილთან ერთად. (სკალდი 1981 წ.)
3. მ. ახალშვილთან, ხ. ცინცაძესთან, გ.რაზმაძესთან, მ. ხიზანიშვილთან ერთად ლაგურკაზე ინვანტარიზაციის დროს. 1981 წ.
4. ექსპედიცია ისვენებს. სკალდი. 1982 წ.
5. ვ. სილოგავასთან და დ. ლევანიშვილთან ერთად. სოფ. ღობი. 1982 წ.

ტაბულა II

1. სოფ. ადიში
2. ლიჩენიში. დღესასწაულის მსვლელობა
3. ლიჩენიში. დროშების აბმა
4. ნაკიფარის წმინდა გიორგის ხატი მე-XI ს.
5. ბასილი II ბულგართმმუსვრელი. ბიზანტიური ხატი.

ტაბულა III

1. დემეტრე I მეფედ კურთხევა. სოფ. ლატალის მაცხოვრის ეკლესიის მხატვრობა. ავტ. მიქაელ მაღლაკელი. XI ს.
2. აბრეშუმის ქსოვილის ფრაგმენტი მესტიის მუზეუმის ფონდებიდან.
3. კოშკი მდ. ენგურზე სოფ. იფარის მახლობლად. ე.წ. „სიყვარულის კოშკი".
4. იგივე კოშკი 1929 წლის ფოტო. კარგად ჩანს კოშკის მახლობლად ნაგებობა. კომპლექსი თავიდან საბაჟო პუნქტი უნდა ყოფილიყო.

ტაბულა IV

1. აბრეშუმის ქსოვილი. სოფ. საყდრის (ლენტეხის რ-ნი) წმ. გიორგის ხატის ზურგის გარსაკრავი.
2. წმ. გიორგის ხატი სოფ. საყდარიდან. XI-XII ს. 1981 წლის სალიდიდან.
3. განგმირული დიოკლეტიანე. სოფ. ნაკიფარში დაცული XI საუკუნის ხატის ფრაგმენტი.
4. დიოკლეტიანეს ჩაცმულობის ორნამენტი. სოფ. ნაკიფარში დაცული XI საუკუნის ხატის ფრაგმენტი.
5. სოფ. საყდარში დაცული აბრეშუმის ქსოვილის ფრაგმენტი.

ტაბულა V

1. წმინდა გიორგის ხატი სოფ. საყდრის ეკლესიის საკურთხეველში.
2. იგივე ხატის შესწავლის პროცესი ეკლესიის მცველის თანდასწრებით. 2011 წლის 21.09.

ტაბულა VI

1. მარტვილის ტაძრის რელიეფური ფრიზი.
2. მარტვილის ტაძრის ფრიზის ფრაგმენტი. წმ. გიორგი
3. ახტამარის სურბ-ხაჩის მონასტრის ფრიზი.
4. წმ. გიორგი ახტამარის სურბ-ხაჩის მონასტრის ფრიზიდან.

1

2

3

4

5

ტაბულა II

1



2

3

4



5

ტაბულა III

1



2



3

4

1



2

3

4

5



1

2



1

2

3

4